ლელ

№ 56
(11 205)

17 – 20 ივლისი, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი არკადი სმირნოვი მოსკოვიდან, პირველი მსოფლიო ახალგაზრდული თამაშების პრესცენტრიდან იტყობინება

საქართველო კარგად მოჩანს მსოფლიოს ახალგაზრდობის სპორტულ სამყაროში

თამაშების პროგრამის სპორტის ყველა სახეობაა დღეს მსოფლიო ყურადღების ცენტრშია, მაგრამ არის გამოკვეთილად მნიშვნელოვანიც, კერძოდ ფეხბურთი და კალათბურთი, სადაც საქართველოს გუნდებიც მონაწილეობენ. თუმცა, ჩვენს ფეხბურთელებზე, სამწუხაროდ, უკვე წარსულ დროში უნდა ვილაპარაკოთ. ქვეჯგუფიდან გასვლის შემდეგ, რუსეთის ნაკრებთან მომდევნო შეხვედრა, მათთვის ბოლო მატჩი აღმოჩნდა. თავიდან ქართველები დაწინაურდნენ, რუსებმა შეძლეს თამაშის გარდატეხა და მატჩის ბედიც საბოლოოდ თავიანთ სასარგებლოდ შემოაბრუნეს. პირველ გატანილ გოლს სამით უპასუხეს. ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: რუსეთი – კატარი, ბულარუსი – თურქეთი.

კალათბურთელებმა ესპანელებთან და ბრაზილიელებთან (80:79) შთამბეჭდავი თამაშის შემდეგ ქვეჯგუფში ჰოლანდიელებსაც აჯობეს (80:46) და მეოთხედფინალში 16 ივლისს იუგოსლავიის ნაკრებს შეხვდნენ. ცხადია, აღიარებულ საკალათბურთო ქვეყნის ნაკრებთან ჩვენს გუნდს იოლი თამაში არ ელოდა. თუმცა ქართველებმა ყველაფერი იღონეს, მატჩი იუგოსლავიელებმა მოიგეს 15 ქულის სხვაობით და ნახევარფინალში გავიდნენ.

მას შემდეგ, რაც ბერძნულრომაულ ჭიდაობაში ჩვენების წარმატებებზე გაუწყეთ, ქართველმა ფალავნებმა კიდევ ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ესენი არიან: ილია ლეჟავა (95 კგ), პაატა ბიწაძე (52), ივანე ჩუბინიძე (63) და გიორგი რურუა (76). გუნდურ ჩათვლაში პირველობა რუსეთმა დაიპაკუთრა, საქართველოს ნაკრები მეორე ადგილზეა, რაც უდიდეს წარმატებად უნდა ჩაითვალოს პირად პირველობაში მოპოვებულ ერთი ვერცხლისა და ექვს ბრინჯაოს მედალთან ერთად. ასე რომ, 9 მონაწილიდან 7-მა მედალი მოიპოვა, შედეგი მკითხველმა შეაფასოს.

თამაშებში ჩაერთვნენ ძიუდოისტები. გრიგოლ მამრიკაშვილმა (73) ექვსი შეხვედრა ჩაატარა (აქედან ერთი წააგო) და საბოლოოდ ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად. ამ დღეს კიდევ ერთ წონაში გათამაშდა მედლები, რომლის მაძიებელთა შორის იყო ჩვენი ნაკრების წევრი დავით ტყეშელაშვილი (81), მაგრამ იგი საპრიზო ადგილის მიღმა დარჩა. ცხადია, მომავალი შეხვედრებიდან მეტს მოველით.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეებიდან ასპარეზობის სტარტზე ჩვენებიდან ყველას მოეცარა ხელი – ვინც იჭიდავა, წააგო. ვნახოთ დანარჩენები რას იზამენ. წარმატებად უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენი მძლეოსანი ნინო ბაგაშვილი 100 და 200 მეტრზე ფინალურ გარბენში მოხვდა.

ჩოგბურთელმა მაკა ჩახნაშვილმა მოუგო ელინ გილენას (ურუგვაი) 6:0, 6:1; თამრიკო ზედგინიძე კი ბელარუს ალა კალისიევასთან შეხვედრაში დამარცხდა 0:6, 2:6. კარგად ასპარეზობს ირაკლი ლაბაძე. მან ადვილად სძლია ჩინელ ვენგოს 6:1, 6:2.

საერთო შთაბეჭდილება მინდა გაგაცნოთ. უკვე გამართული ასპარეზობებიდან საქართველო იმათ რიცხვშია, რომლებსაც აქ მოწინავე სპორტულ ქვეყნებად მოიხსენიებენ. მთავარი მაჩვენებელი, მაინც მედლებია და თუმცა, ჯერჯერობით ჩვენწილად „ოქრო“ არ ირიცხება, ძალიან ბევრ ქვეყანაზე წინ ვდგევართ ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდოებით.

„ლელოს“ რედაქციამ თამაშებთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს კახი ასათიანს. აი რა თქვა მან:

„ობიექტურობა მოითხოვს, რეალურად შევაფასოთ მსოფლიო პირველ ახალგაზრდულ თამაშებში საქართველოს წარგზავნილთა გამოსვლები. ამ სპორტსმენებს ყველაზე რთულ პირობებში უხდებოდათ სპორტში პირველი ნაბიჯების გადადგმა ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამო. სპორტში შედეგები ხომ თავისთავად არ მოდის. 7-10 წლის ყოველდღიური ოფლისღვრას გაჰყავს ათლეტი დიდ სარბიელზე. ეს თაობა, თავიანთი აღმზრდელებისა და ნიჭიერების წყალობით, მაინც ახერხებს დაიცვას სამშობლოს სპორტული ღირსება მოსკოვში მიმდინარე უდიდეს სპორტულ ფორუმზე. პროგრამა ჯერ არ ამოწურულა და, იმედია, ასეთი შემართებით ჩვენი გოგონები კიდევ შეძლებენ მედლების მოპოვებას“.

ბოლო ინფორმაცია

ირაკლი ლაბაძე და მაკა ჩახნაშვილი ერთეულთა თანრიგში მერვედფინალში გავიდნენ. ისინი მერვედფინალში ითამაშებენ წყვილთა თანრიგშიც. ძიუდოისტები ნიკოლოზ გილაშვილი და ბორის თადუმაძე მესამე ადგილისათვის გადასასვლელ შეხვედრებს ჩაატარებენ. მძლეოსანი ნინო ბაგაშვილი 100 მ. რბენაში VIII ადგილზე დარჩა. თამაშების საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები III ადგილზეა.

მერაბ ჟორდანია: ხალხი ჩვენ, პროფესიონალებს მოგვთხოვს პასუხს

შეიძლება ვცდებით, მაგრამ გუმანით ვგრძნობთ, მას შემდეგ, რაც მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში სავარაუდოდ ყველაზე რეალურმა მოსალოდნელმა კანდიდატმა ალექსანდრე ჩივაძემ თავისი კანდიდატურის წამოყენებაზე უარი განაცხადა, სავარძლის მაძიებელთა შორის დიდ შანსი ალბათ გაუჩნდა თბილისის „დინამოს“ კლუბის თავკაცს მერაბ ჟორდანიას. ამით სრულებითაც არ ვაკნინებთ სხვა კანდიდატების ილია დათუნაშვილისა და რამაზ გოგლიძის შესაძლებლობებს, მაგრამ ქართულ ფეხბურთში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, 24 ივლისს ყრილობაზე მოსული დელეგატები ყველაზე მეტად მაინც „დინამოს“ პრეზიდენტს დაუჭერენ მხარს. რატომ? იმიტომ, რომ ერთიანი ძალით ამოქმედდა ჩივაძე – ჟორდანიას ალიანსი და აქედან გამომდინარე, ჩივაძის თაყვანისმცემლები, სავარაუდოდ, ხმას თავისი რჩეულის მოკავშირეს მისცემენ. ამასთან, გარკვეული წრეები ავრცელებენ ხმებს, რომ სფფ-ს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს არჩევნებში მონაწილეობაზე უარი იძულებით ათქმევინეს. სიმართლის დასადგენად შევეცადეთ თავად ჩივაძეს ვწვეოდით, მაგრამ ეს არ მოხერხდა, ამაოდ გავისარჯეთ. ამის შემდეგ, ბუნებრივია, მის მოკავშირესთან მერაბ ჟორდანიასთან შეხვედრა მოვიწადინეთ. „დინამოს“ ბაზაზე მისულებს კლუბის ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძე შემოგვეგება და საინტერესო ამბავი გვამცნო (ამის შესახებ „ლელომ“ ოპერატიულად უკვე მოგაწოდათ ინფორმაცია) – ვაკის რაიონის სასამართლომ დააკმაყოფილა „დინამოს“ სარჩელი და უკანონოდ სცნო ს.კ. „მრეტების“ პრეტენზია ფეხბურთელ გიორგი ქინქლაძის ტრანსფერიდან მიღებული თანხის წილზეო. და აი, მერაბ ჟორდანიაც როგორც ყოველთვის, თავაზიანი, თავდაჭერილი მოსაუბრე. ცხადია, პირველი კითხვაც ჩივაძის მიერ გადადგმული ნაბიჯის მისეულ კომენტარს შეეხებოდა.

– მე და საშა ძველი მეგობრები ვართ, თანაც ორივე დიდი პიროვნების, ნოდარ ახალკაცის ხელში გავიზარდეთ. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ ფეხბურთზე ერთნაირი შეხედულება გვაქვს, ჩვენი წინასაარჩევნო პროგრამაც ერთნაირია. ხშირად ვხვდებოდით და გულის ნადებს ვუზიარებდით ერთმანეთს. ჯერ კიდევ ყრილობამდე დიდი ხნით ადრე მოვილაპარაკეთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ გვემოქმედა ერთმანეთის საწინააღმდეგოდ და ამის შესახებ ყოველთვის ვამბობდი საჯაროდ. ჩემი კანდიდატურა მასთან მოთათბირების შემდეგ წამოვაყენე. მერე დავსხედით, ვიმსჯელეთ და მივედით იმ დასკვნამდე, ან საშა იქნებოდა კანდიდატად ან მე. საბოლოოდ საშამ ამჯობინა ასპარეზი ჩემთვის დაეთმო. ვფიქრობ, ამაში გასაკვირი არაფერია.

● *როგორ შეხვდებიან თქვენს ალი-*

იხ. მე-3 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოში სპორტის განვითარების საქმეში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდაში მნიშვნელოვანი დამსახურებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული მუშაკი *თენგიზ ბოლქვაძე* დაჯილდოდა ღირსების ორდენით.

* * *

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოში ფეხბურთის განვითარებისა და ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდის საქმეში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, სპორტის ოსტატი *დოდიკ ხუნდაძე* დაჯილდოდა ღირსების ორდენით.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, სპორტული საზოგადოებრიობა და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია ულოცავს თ. ბოლქვაძეს და დ. ხუნდაძეს მათი ღვაწლის ქვეყნის ესოდენ მაღალი ჯილდოთი დაფასებას.

მილოცვა

საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაცია ღირსების ორდენით დაჯილდოებას ულოცავს ამავე ფედერაციის პრეზიდიუმის წევრს, დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო კოლეჯის რექტორს *ნუგზარ მიქაძეს.*

იმკურნალეთ იქ, სადაც ეკურნალობენ ცნობილი სპორტსმენები

მომსახურება იდეალური, სპეციალისტები – საუკეთესო, შედეგი – აღდგენილი ჯანმრთელობა!

გამოკვლევა, კონსულტაცია და მკურნალობა ფასიანია.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის, 49 ა; ტელ: 23-59-59; 29-47-48.

ფიფა წლის ბოლომდე ყველა ფეხბურთის ფედერაციას მილიონ დოლარს უნაწილებს

საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატმა ფიფას ისედაც მდიდარი ხაზინა კიდევ უფრო გაზარდა

ახლა ფიფას ახალი ოთხწლიანი ბიუჯეტი დაახლოებით 690 მილიონ შვეიცარიულ ფრანკს შეადგენს და წინანდელ პერიოდს ოთხჯერ აღემატება. 2002 და 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატების თამაშების ტელეტრანსლაციათა უფლების გაყიდვით შემდეგ, ფიფა სამარკეტინგო კონსორციუმ „კირშ-სპორტის“-გან გიგანტურ კვოტას — 2,7 მილიარდ შვეიცარიულ ფრანკს მიიღებს.

ფიფამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ წლის ბოლომდე ყველა წევრ 203 საფეხბურთო ფედერაციას თითო მილიონ დოლარს გამოუყოფს. გარდა ამისა, 10-10 მილიონი დაურიგდებათ ყველა კონტინენტურ ფედერაციას. (მოსალოდნელია, რომ ამ თანხიდანაც სფფ-მ რაღაც „მიიღოს“).

გუშინ ფიფას პრეზიდენტმა იოზეპ ბლატერმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჯერჯერობით არ მიუღია გადაწყვეტილება, თუ ვინ დაიკავებს მის ყოფილ თანამდებობას (საუბარია ფიფას გენერალური მდივნის პოსტზე). ამასთანავე ცნობილი გახდა, რომ ფიფას ახალი სპორტული დირექტორის სკამი უბოძეს მიშელ პლატინის, რომელსაც მადლიერმა ბლატერმა ეს თანამდებობა არგუნა ფიფას პრეზიდენტის არჩევნებში მხარდაჭერისათვის.

გზა მშვიდობისა, აკადემია!

კახი ასათიანმა ომარ გოგიაშვილმა და გესიკ ლიპარტელიანმა ვლადიმერ სტეფანიას და ფირმა „ქართუს“ მხარდაჭერით საქართველოში გაგშვთა კალათბურთის აკადემიის შექმნა რეალობად აქციეს

იდეა, რომ ძვირად ფასობს, მით უფრო თუ მისი რეალიზაციის საფუძვლებიც არსებობს, ყველასათვის კარგადაა ცნობილი. საქართველო რომ საკალათბურთო ქვეყანაცაა, ბოლო წლებში ჩვენებურების მსოფლიო წამყვან კლუბებში გამოსვლებით განმტკიცდა. სწორედ ახლა იყო უპრიანი გვფიქრა ქვეყანაში სპორტის ამ სახეობის განვითარების ახალი სტიმულისთვის და ის იდეაც, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, მართლაც რომ დროულად იშვა. საქართველოში ბავშვთა ლიგის შექმნის კვალდაკვალ, საკალათბურთო აკადემიის შექმნა თავდაპირველად საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს კახი ასათიანს მოუაზრებია, რასაც მხარი დაუჭირა ჩვენი სპორტის აკადემიის რექტორმა, პროფესორმა ომარ გოგიაშვილმა და ერთხანს ამ ორთა შორის საიდუმლოდ შენახული იდეა, მომწიფების შემდეგ, საჯაროდ გაცხადდა გუშინწინ, სპორტის აკადემიაში ო. გოგიაშვილის მიერ მოწვეულ პრესკონფერენციაზე.

– ბავშვთა საკალათბურთო აკადემია, ჩვენს უმაღლეს სასწავლებელთან შეიქმნება და მუშაობას ახალი სასწავლო წლიდან შეუდგება. დასაქმდებიან ვეტერანი კალათბურთელები, შევქმნით საკუთარ კლუბს და იგი უმაღლეს ლიგაში ითამაშებს, გა-

იხ. მე-2 გვ.

„დინამო“ შეკრებიდან დაბრუნდა

გუშინ საღამოს დაბრუნდნენ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები, რომლებმაც ტრადიციისამებრ, ორკვირიანი წინასასეზონო შეკრება გაიარეს ესტონეთში. გუნდის მთავარი მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა კმაყოფილია გაწეული მუშაობით. როგორც ცნობილია, 22 ივლისს „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ალბანეთის „ვლაჟნიას“ უმასპინძლებს. განმეორებითი შეხვედრა ალბანეთში 29 ივლისს გაიმართება. იმ შემთხვევაში, თუ ალბანური ბარიერი დაიძლევა, თბილისელების მომავალი მეტოქე იქნება ბასკური გუნდი — ბილბაოს „ატლეტიკი“.

კრივი საქართველოს პირველობა

ამჯერად ხარისხი ამჯობინეს

პირველობა 1980-81 წლებში დაბადებულთათვის ჩატარდა. მსგავს ასპარეზობაში მონაწილეთა რაოდენობა ასს აჭარბებს ხოლმე, დიდი რაოდენობა კი სულაც ვერ ამაღლებს ბრძოლის ხარისხსა და მოკრივეთა კლასს. ამაში არაერთგზის დავრწმუნებულვართ. განვლილ პირველობაზე, რომელსაც ქუთაისმა უმასპინძლა, 64 სპორტსმენი იბრძოდა უძლიერესის სახელისათვის და საგრძნობლად ფვალშისაცემი გახლდათ მათი მომზადების მაღალი დონე. სპეციალისტთა აზრით, ეს შეხვედრები კრივში ნებისმიერი მოწინავე ქვეყნის ჩემპიონატს დაამშვენებდა. რაც შეეხება საუკეთესოებს, დაწესებული რომ ყოფილიყო სპეციალური პრიზი — „საუკეთესო ტექნიკისათვის", მისი პრეტენდენტები უთუოდ მეორე უმჩატესი წონის თბილისელი დავით ადამაშვილი და პირველი ქვესაშუალო წონის ჭიათურელი ანატოლი ქავთარაძე იქნებოდნენ... ეს ყველაფერი იმედისმომცემი უნდა იყოს, რომ ამ ასაკის მოკრივეთა წლევანდელ მსოფლიო პირველობაზე (იგი ნოემბერში, არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში ჩატარდება) ქართველი ჭაბუკები თავიანთ სიტყვას იტყვიან.

საგულისხმოა, ისიც, რომ ამჯერად რესპუბლიკურ რინგზე „ხმა აიმაღლეს" პერიფერიელმა მოკრივეებმა, რომლებიც ადრე მხოლოდ მონაწილეთა სტატუსით კმაყოფილდებოდნენ, დღეს უკვე პრიზიორებშიც ვხედებით მათ სახელებს. ეს, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ვარიანელებზე ითქმის. დიახ, მსოფლიო ჩემპიონ გიორგი კანდელაკის შეგირდებმა 2 ოქროს მედალი მოიპოვეს და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მესამენი არიან თბილისისა და ქუთაისის ნაკრებების შემდეგ. მათ გაუსწრეს კრივის ისეთ ცენტრებს, როგორიცაა: ფოთი, აჭარა, ჭიათურა, გორი და სხვა.

2 1 3
კვარცხლბეკი

48 კგ: 1. გელა ბიჭვაიძე, 2. სტეფან მელქიანი (ორივე — აჭარა), 3. კახა ტყებუჩავა (რუსთავი, სულ სამი მონაწილე). **51 კგ:** 1. დავით ადამაშვილი (თბილისი), 2. ზაზა ლაზაშვილი (გურჯაანი), 3. გიორგი ჩაკვეტაძე (ქუთაისი), დავით ხურცილავა (ჭიათურა). **54 კგ:** 1. მამუკა გორდეზიანი (ქუთაისი), 2. ბადრი კერესელიძე (ვარიანი), 3. გელა მაჭარაშვილი (გორი), დავით ხურცილავა (ფოთი). **57 კგ:** 1. მალხაზ ბერკაცაშვილი (ვარიანი), 2. თემურ ჩაჩავა (ფოთი), 3. იაგო გოგებაშვილი (გორი), ირაკლი ქურიძე (ქუთაისი). **60 კგ:** 1. პაატა ვარდუაშვილი (ვარიანი), 2. გიორგი ჭინჭარაული (სოფ. გამარჯვება), 3. ვანო გოგიშვილი (გორი), ზურაბ შეყილაძე (ჭიათურა). **63,5 კგ:** 1. ანატოლი ქავთარაძე (ჭიათურა), 2. მერაბ ბუჩილოვი (ქუთაისი), 3. გიორგი მგელაძე, როლანდ კვაჭაძე (ორივე — თბილისი). **67 კგ:** 1. ირაკლი



გოგოლაძე, 2. ლევან ჯანჯღავა (ორივე — ქუთაისი), 3. რომან ოღაჯანიანი (ახალქალაქი), გოგა ადუაშვილი (ვარიანი). **71 კგ:** 1. დავით წიკლაური, 2. იონა ფალიანი (ორივე — თბილისი), 3. დათო ხანიშვილი (ვარიანი), აბო ქათამაშვილი (გურჯაანი). **75 კგ:** 1. ზურაბ ქებაძე, 2. მირიან სუხიშვილი (ორივე — თბილისი), 3. კარო ტირატურიანი (აჭარა), ლონგინოზ ლომსაძე (რუსთავი). **81 კგ:** 1. დავით გეგეშიძე (თბილისი), 2. ბექა ლობჟანიძე (გორი), 3. ზურაბ უჩანეიშვილი (ფოთი, სულ 3 მონაწილე). **91 კგ:** 1. არსენ ყურაშვილი (ფოთი), 2. შალვა გოგოლაძე, 3. ალექს სულხანიშვილი (ორივე — თბილისი), გიორგი მახარაშვილი (გურჯაანი). **+91 კგ:** 1. გოგა ბოლქვაძე (ქუთაისი), 2. გიორგი მათიაშვილი (ფოთი, სულ ორი მონაწილე).

ჰარადოქსი SOS

დაუბრუნეთ ბავშვებს დისპანსერი...

საქართველოს განათლების სამინისტრო, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მხარს უჭერენ თბილისში ბავშვთა ცნობილი პროფილაქტიკურ-სამკურნალო ცენტრის აღდგენას. დედაქალაქის ჯანდაცვის სამმართველოში კი, სადაც ყველაზე მეტად უნდა იყვნენ დაინტერესებული ამ ობიექტის აღდგენით, თურმე აცხადებენ: ეს საკითხი შრომითმა კოლექტივმა უნდა გადაწყვიტოსო. შრომითი კოლექტივი კი იქ შესახლებული სხვადასხვა დასაქმების ადამიანები არიან, რომელთა შორის მეხაჭაპურეები ჭარბობენ. აი ასე, წადი და ეძიე სამართალი!

„ლელო" ჩაერთვება ამ ძიებაში და ყველას თანადგომას ვუცხადებთ, ვინც ბოლომდე იბრძოლებს სამართლიანობისათვის.

ლაპარაკია თბილისში, ყოფილ ჩიტაძის ქუჩაზე მდებარე ბავშვთა პროფილაქტიკურ-სამკურნალო დაწესებულებაზე, ხალხში კარგად ცნობილ იგივე ფიზკულტურის დისპანსერზე, რომელიც არსებობის ათეულ წლებს ითვლის. ამ დისპანსერს უდიდესი წვლილი შეჰქონდა როგორც თბილისის მოსწავლეთა, ისე ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების აღსაზრდელთა სისტემატურ სამედიცინო შემოწმებაში, ჯანმრთელობიდან ფიზიკური გადახრების დროულ გამოვლენასა, პროფილაქტიკასა და მკურნალობაში. განსაკუთრებით ცნობილი იყო დისპანსერი სკოლიოზით დაავადებულთა მკურნალობით. ეს და ბავშვთა სხვა დაავადება, რომელიც სამკურნალო ფიზკულტურის და სპორტული მედიცინის ჩარევას საჭიროებს, ცხადია, ბოლო წლებში არ შემცირებულა, პირიქით, გაიზარდა კიდეც, რაც სოციალური პირობების გაუარესების თანმდევი მოვლენაა. და ასეთ ვითარებაში, ნაცვლად იმისა, რომ ზემოხსენებული დისპ[illegible] ინ[illegible] გადაერჩინათ, მისმა მესვეურებმა ამ დაწესებულების განადგურების დაჩქარებას შეუწყვეს ხელი — ჯერ სათავსოები დანაწილდა, შემდეგ სართულიც მიჰყვა (გაყოდესო, ამბობენ!), შემდეგ ეზოს ნაწილიც „გამასაჭესე" და ახლა ამ ხალხს, რომელთა შორის თურმე მეხაჭაპურეთა ამჭარი გამოირჩევა სიმრავლით, უნდა ჰკითხონ აღდგეს თუ არა ადრინდელი პროფილით ბავშვთა სამკურნალო დისპანსერი. მართლაც რომ საოცარი ამბები ხდება ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ ყველაზე საოცარი ისაა, რომ იქ, სადაც თავის სფეროს პატივს უნდა სცემდნენ, სადაც ადამიანების, ამ შემთხვევაში მოზარდების კეთილდღეობაზე უნდა ზრუნავდნენ, არაფრად დაგიდევენ არც საერთო ინტერესებს და არც სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი სოლიდური ორგანიზაციების თხოვნას.

რა ვქნათ ახლა, ბატონებო, თბილისის ჯანდაცვის სამმართველოდან, — მეხაჭაპურეებმა, რომ უარი თქვან და განაცხადონ, „რა დისპანსერი, რი დისპანსერიო", ბედის ანაბარა მივატოვოთ ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა და დავაჩაჩანაკოთ საქართველოს მომავალი, ჩავწიხლოთ ყველა და ყველაფერი? მართლა განუკითხაობა თუა, მთლად წასულა ჩვენი საქმე და ეგ არის. განა დიდი სიბრძნე უნდა იმას, რომ მოზარდი თაობის კეთილდღეობა არანაირი საბაბით და მიზეზით არ შეიძლება შეეწიროს სხვა რამეს, თუნდაც იმ უბრალო ლოგიკით, რომ სხვა უფრო მნიშვნელოვანი რამ, ამ ქვეყანაზე არ არსებობს? ხაჭაპური, ცხადია, შეიძლება სხვაგანაც გამოაცხონ, სულაც, ფული შეიძლება სხვაგანაც იშოვონ, მაგრამ ბავშვების ჯანმრთელობას, ხაჭაპურისგან განსხვავებით, სადაც მოგესურვება, იქ ვერც „გამოაცხობ" და ვერც „იშოვნი", ეს დისპანსერი ამ საქმეში კი უპირველესი ცენტრი იყო თავისი შესანიშნავი ტრადიციებით. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება სახაჭაპურე შეიკედლოს დისპანსერმა, მაგრამ მთავარი პროფილი ამ ობიექტს, არამც და არამც არ უნდა შეეცვალოს.

წერილის დასაწყისში ჩამოთვლილი ორგანიზაციები ერთსულოვანნი არიან, რომ ეს სამედიცინო ობიექტი უნდა აღდგეს სრული პროფილით. მათ წარადგინეს კიდეც ხელმძღვანელად დარგის შესანიშნავი სპეციალისტის, ქალბატონ ლიანა კაკიაშვილის კანდიდატურა, რომელიც ამ დისპანსერში დიდხანს მუშაობდა განყოფილების გამგედ. ამ წინადადებასაც ეწინააღმდეგებიან ჯანდაცვის სამმართველოში [illegible] დისპანსერის აღდგენისათვის მოწადინებულმა ადამიანებმა ჯანდაცვის სამინისტროსაც მიმართეს ობიექტურობისათვის, სამმართველოში განრისხებულან. მათი გააფთრების ქვეტექსტი ძნელი ამოსაცნობი არ არის: „ჩვენი საქმე ჩვენ უ[illegible] ვიცით, რასაც გვინდა, იმას გადავწყვეტთ და რაც გვინდა, იმას ვიზამთო..." ჩვენ კი, ლელოელები, ხმამაღლა ვაცხადებთ, არ იქნება ისე, როგორც მავანს სურს, იქნება ისე, როგორც საქმეს, ე.ი. ჩვენი ბავშვების კეთილდღეობას გამოადგება, როგორც ამას მოითხოვს სახელმწიფო და არა კერძო ინტერესები.

აქვე დავძენთ, რომ ჩვენი სპორტსმენები ამჟამად მოსკოვში ასპარეზობენ პირველი მსოფლიო ახალგაზრდულ თამაშებში. ეს სპორტსმენები ჯერ ისევ მოსწავლეები არიან, მათი სამედიცინო კონტროლი, რეაბილიტაცია, კვალიფიციური კონსულტაციები მზადების პერიოდშიც აუცილებელი იყო. სამწუხაროდ, ზემოხსენებული დისპანსერი საერთოდ არ ჩარეულა ამ საქმეში და არც რაიმე დაინტერესება გამოუჩენია. თუნდაც აქედან ჩანს ქართული სპორტისადმი მათი დამოკიდებულება. დისპანსერის ყოფილმა თანამშრომლებმა, ყოფილმა მთავარმა ექიმმა თენგიზ ქუთათელაძემ და ლიანა კაკიაშვილმა კი ყველაფერი გააკეთეს, რაც შეძლოთ, რათა აუცილებელი დახმარება აღმოეჩინათ ჩვენი ნაკრები გუნდებისათვის...

საერთაშორისო კონფერენცია

სპორტი გარემოს დაცვის სამსახურში

რომში ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთა ასოციაციის ეგიდით ჩატარდა კონფერენცია თემაზე „სპორტი გარემოს დაცვისათვის", რომელშიაც საქართველოდან მონაწილეობდა სეოკის სპორტულ ფედერაციებთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი თამაზ თევზაძე. „ლელოს" თხოვნით, მან მოკლედ ჩამოაყალიბა კონფერენციის მნიშვნელობა.

— პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ კონფერენციას მიესალმნენ იტალიის რესპუბლიკის მთავრობის ვიცე-პრეზიდენტი ვალტერ ველტრონი და სოკის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი. ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთა ასოციაციის პრეზიდენტი ჟაკ როგი და იტალიის ეოკ-ის პრეზიდენტი მარიო პესკანტე.

1972 წელს მიუნხენში ოლიმპიადაზე მონაწილე ქვეყნებმა ჩამოიტანეს ნერგები და ისინი ოლიმპიურ პარკში დარგეს. შემდეგ ოლიმპიურ ქარტიაში გაჩნდა მუხლი გარემოს დაცვასთან დაკავშირებით. 1992 წელს სოკმა მოუწოდა საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებს და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს, რათა ხელი მოეწერათ მსოფლიო მიმართვისთვის, რასაც შემდგომ მოჰყვა 1994 წელს რიო-დე-ჟანეიროში ჩატარებული სამიტი „პლანეტა დედამიწა". სოკმა როგორც ოლიმპიური მოძრაობის კოორდინატორმა, გარემოს დაცვის საკითხი თავისი იდეებისა და პროგრამების შემადგენლობაში შეიტანა.

1995 წელს სოკმა ჩაატარა პირველი კონფერენცია სპორტისა და გარემოს დაცვის საკითხებზე.

ამჟამად კი ევროპაში სპორტსა და გარემოსთან დაკავშირებული სპეციფიკური პრობლემების გადაჭრას მიეძღვნა რომში გამართული კონფერენცია. მოხსენებები ასე შეიძლება დავაჯგუფოთ: „ოლიმპიზმი და გარემოს დაცვა — ოლიმპიური მოძრაობის როლი"; „ეკოლოგიური კავშირების გამოცდილება და თანამშრომლობის სფეროები ევროპაში"; „სპორტული მოედნები და საქმიანობები ევროპის ქალაქებში"; „სპორტული ღონისძიებების გავლენა ბუნების ეკოსისტემაზე"; „გარემო და სპორტული მოედნები — კომფორტი, სპორტსმენთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება"; „გარემო და ფართომასშტაბიანი სპორტული ღონისძიებები"; „გარემო, სპორტული მრეწველობა და სპორტი ყველასათვის"; „გარემო და სპორტული საქმიანობა, როგორც დასაქმების ფაქტორი".

კონფერენციაზე გამოითქვა: „ვიფიქროთ გლობალურად, ვიმოქმედოთ ადგილობრივად" — რაც იმას ნიშნავს, რომ რეკომენდაცია მიეცათ „სპორტი გარემოს დაცვისათვის" რეგიონალური და ადგილობრივი პრობლემების, პროექტების მომზადებისთვის. მნიშვნელოვანია ამ კუთხით მენეჯმენტის პროგრამების განხილვა და ზუსტი პასუხისმგებლობის განსაზღვრა; კვლევითი საქმიანობები; თანამშრომლობის გეგმა ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან, საკანონმდებლო გადაწყვეტილებები; საგანმანათლებლო ინიციატივები...

კონფერენციის დღეებში ხ. ა. სამარანჩი შეხვდა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენლებს.

სურათზე: ხ. ა. სამარანჩი და თ. თევზაძე.

ამერიკელი კონსულტანტი ჩვენგანაც იღებს კონსულტაციებს

მსოფლიოს ბანკის წარმომადგენელი პედრო ტაბორგა საქართველოს ხელისუფლების მოწვევით, როგორც კონსულტანტი, უკვე მეორე წელიწადია, მოკლე ვიზიტებით დროდადრო ჩამოდის თბილისში. სამუშაო საათების შემდეგ ის თავად იღებს კონსულტაციებს საქართველოს შოტოკან კარატე-დო ფედერაციის პრეზიდენტ კახა ბასილიასგან. პედროს მე-3 დანი ჰქონია შოტოკან კარატე-დოში და ათეული წელია ამერიკაში მისი მიმდევარია.

ამ დღეებში პედრო ტაბორგა კვლავ ესტუმრა საქართველოს და კახა ბასილიას გადასცა ამერიკის კარატე-დოს ფედერაციის წერილი, სადაც იტყობინებიან, რომ მზად არიან აღმოუჩინონ დახმარება საქართველოს კარატე-დოს ფედერაციას. პირადად კახა ბასილია კი მიწვეულია ამერიკაში, სადაც კონკრეტულად განიხილავენ თანამშრომლობის ასპექტებს.

სააგენტო „გუმათე".

გზა მშვიდობისა, აკადემია!

(პირველი გვერდიდან)

ნსაზღვრულია ორიენტირი – სამეულში მოხვედრა – განაცხადა ო. გოგიაშვილმა.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ აკადემიას სათავეში ჩაუდგება, ყველასათვის კარგად ცნობილი სპეციალისტი ბესიკ ლიპარტელიანი, აკადემიის საპატიო პრეზიდენტობაზე კი ქართული კალათბურთის მწვერვალი ვლადიმერ სტეფანია დათანხმდა, აკადემიაც მისივე სახელობისა იქნება.

უდავოა, შესანიშნავ საქმეს ჩაეყარა საფუძველი. თაოსნებს საქმით დაუდგა მხარში ფირმა „ქართუ". აკადემიაში, როგორც ბ. ლიპარტელიანმა განაცხადა 7-10 ქალაქის 200-მდე მოზარდი იმეცადინებს. თავდაპირველად სწავლება ფასიანი იქნება. ნავარაუდევია შეიქმნას მინიკალათბურთის ფედერაცია, დამყარდეს მჭიდრო კონტაქტები ბალტიისპირეთის ანალოგიურ აკადემიებთან, დაიგეგმება მონაწილეობა საერთაშორისო ტურნირებში, ნორჩ კალათბურთელთა მომზადება კი იმ მეთოდების შერწყმით მოხდება, რაც ევროპასა და ამერიკაშია აპრობირებული.

გზა მშვიდობისა!

ვერაგ ქორდანია: ხალხი ჩვენ, პროფესიონალებს მოგვთხოვს პასუხს

(სტრიქონი გვერდიდან)

ანს საქართველოში, თუნდაც, ვთქვათ, უეფაში?

— ვფიქრობ, საფეხბურთო წრეები გაგებით შეხვდებიან შექმნილ მდგომარეობას. ჩივაძესთან ერთად მზად ვარ მთელი პასუხისმგებლობა ქართულ ფეხბურთზე საკუთარ თავზე ავიღო. გუშინაც ვამბობდი ერთ-ერთ თავყრილობაზე, წინამძღოლობა ბევრს უნდა, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, ჩივაძეც და მეც მთელი ცხოვრება ფეხბურთში ვტრიალებთ. გავა წლები და ხალხი ფეხბურთის განვითარებაზე ჩვენ მოგვთხოვს პასუხს და არა იმათ, ვინც ახლა შემთხვევითაა მოხვედრილი საფეხბურთო სამყაროში. და ეს, მიუხედავად იმისა, ვიქნებით თუ არა ჩვენ ფედერაციის სათავეში.

● ***ძალიან მეუხერხულება ამის კითხვა, მაგრამ გავბედავ — თქვენი არჩევის შემთხვევაში რა ბედი ეწევათ ამჟამად სფფ-ში მომუშავე ადამიანებს? მათი დიდი ნაწილი, დასამალი არაა, აშკარად დაბნეულია და არ იცის რა მოიმოქმედოს. არიან ისეთები, რომლებიც გაიძახიან — ის დრო განცხადება დავწეროთ და აქედან გავასწროთო, ზოგიც თქვენთან „მოსასვლელ გზებს“ ეძებს.***

— ფედერაციაში უმეტესი წილი პატიოსანი და საქმის მცოდნე ადამიანები მუშაობენ. ალექსანდრე ჩივაძე ავიღოთ — სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ვინც უნდა მოვიდეს აპარატის სათავეში, სიამოვნებით ანდობს მას ყველაზე პასუხსაგებ უბანს, იგივე ითქმის სხვა მუშაკებზეც. მართალია, უშეცდომო არავინაა და მათაც ჰქონდათ სამწუხარო ლაფსუსები. დარწმუნებული ვარ, სათანადო პირობების შექმნისა და მიმართულების მიცემით სრულებით შესაძლებელია მათი შემდგომი გამოყენება. ასე რომ, საპანიკო არაფერია. ამასთან, არაერთხელ მითქვამს, სფფ-ში ჩემი მისვლის შემთხვევაში, განვარხორციელებ მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებს. ამას წინათ, წინასაარჩევნო პრესკონფერენციაზე კომიტეტების შესახებ გითხარით ჟურნალისტებს. ცხადია, როგორც სხვა კანდიდატებს, მეც ჩემი გუნდი მყავს და ეს გასაკვირი არავისთვის არ უნდა იყოს.

● ***არის შანსი სფფ-მ საკუთარი კანდიდატურა — ნოდარ ანდრიაძე წამოაყენოს...***

— შესაძლოა, თუმცა პირადად ასეთი გადაწყვეტილების შესახებ არაფერი მსმენია.

● ***ერთი თვის წინათ, საფეხბურთო პრეს-კლუბში, შეხვედრა გვქონდა ნოდარ ანდრიაძესთან. როცა ქართული ფეხბურთის ნაკლოვან მხარეებს შეეხო, იგი ოფიციალურად დაგვეთანხმა, რომ ნაკლოვანებები ძირითადად გამოწვეულია ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების სუსტი ხელმძღვანელობით. ბ-ნმა ნოდარმა გვითხრა — მე და ჩივაძე ერთი გუნდი ვართ, ვხედავთ შეცდომებს, ამ დღეებში მივიღებთ გადაწყვეტილებას, რათა სფფ-ში მოკალათებულ ულორს მუშაკებს გავემიჯნოთ. გავიდა ხანი და ანდრიაძესთან ისევ ძველ ბანაკში დარჩა, მხოლოდ ჩივაძემ გამოიჩინა პრინციპულობა...***

— კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ, გავა წლები და მომავალი თაობა ქართული ფეხბურთის მდგომარეობაზე ჩვენ, ვეტერან ფეხბურთელებს მოგვკითხავს და არა ფუნქციონერებს. ისე, ბატონ ნოდარ ანდრიაძესთან „საფეხბურთო ურთიერთობა“ არა მქონია და მიჭირს რაიმე ვთქვა მის შესახებ.

● ***ჭორის დონეზე გავიგე, ჟორდანიამ თუ არჩევნებში გაიმარჯვა, ნაკრებ გუნდებში მწვრთნელებს შეცვლისო.***

— არავითარ შემთხვევაში. იმ პირებს, რომლებიც ახლა საქართველოს ნაკრებ გუნდებს ხელმძღვანელობენ, საშუალება მიეცემათ ბოლომდე, შესარჩევი ციკლი მაქვს მხედველობაში, გამოავლინონ თავიანთი ნიჭი და უნარი.

● ***წედან გკითხეთ და ბოლომდე არ მიპასუხეთ, როგორ შეხვდებიან საერთაშორისო საფეხბურთო სტრუქტურებში თქვენი და ჩივაძის ალიანსს?***

— სხვათა შორის, ეს ამბავი სრულებითაც არ არის მოულოდნელი უეფას მოხელეთათვის. მოგეხსენებათ, ამ ორგანიზაციის პროფესიული ფეხბურთის კომიტეტის წევრი ვარ და მათთან ახლო ურთიერთობა მაკავშირებს. ჩივაძისა და ჩემი გაერთიანების თაობაზე საუბარი მქონდა აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიუროს ხელმძღვანელთან ერიხ ეპლესთან. მისი თქმით, უეფასთვის მთავარია ჩვენი ყრილობა დემოკრატიულად და სამართლიანად ჩატარდეს და მნიშვნელობა არა აქვს ვინ გაიმარჯვებს — მე თუ ჩივაძე. მთავარია, ასეთ აწყობილ ურთიერთობაში არ ჩაერთოს ახალი კაციო.

● ***დემოკრატიულად და ობიექტურად რომ ჩატარდეს ყრილობა, ამისათვის რა მექანიზმები არსებობს?***

— ფეხბურთის ფედერაცია, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან და იუსტიციის სამინისტროსთან ერთად ინტენსიურად მუშაობს, რათა ყრილობაზე მოხვდეს ის ხალხი, რომელთაც ნამდვილად აღელვებს ქართული ფეხბურთის ბედი. მისასალმებელია, რომ ამ ყრილობაზე უფრო დიდი რაოდენობით იქნებიან წარმოდგენილნი ჩვენი სახელოვანი ვეტერანები, რეგიონალური რგოლები.

● ***რეგიონებიაახსენეთ, ამას წინათ, ერთი ამბავი ატყდა — სპეციალურად ყრილობის წინ სფფ-მ რეგიონალურ რგოლებთან კიდევ რაიონულიც შექმნა და ამით, ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატმა ფაქტობრივად, დამატებით 50-მდე ხმა მიითვალა...***

— ამის თაობაზე მეც მსმენია და, ვფიქრობ, ის კომისია, რომელიც ამ ყრილობას ამზადებს, ახალშექმნილ რგოლებს მანდატებს არ მისცემს.

● ***ყრილობა ალბათ მიიღებს მომავალი ოთხწლიანი ციკლის სამოქმედო პროგრამას. მასაც იგივე ბედი ხომ არ ეწევა, როგორც წინანდელს — მიღებული დადგენილების უმეტესი მუხლები ქაღალდზე დარჩა.***

— ის პიროვნება, ვისაც ქართული ფეხბურთის წინამძღოლად აირჩევენ, უნდა გახდეს გარანტი იმისა, რომ დასახული სამოქმედო პროგრამა უცილობლად შესრულდეს.

● ***წინა ყრილობაზე მთავარ ამოცანად დაისახა პროფესიული საფეხბურთო ლიგის შექმნა, მაგრამ...***

— ეს ორგანო აუცილებლად უნდა ჩამოვაყალიბოთ და ამაზე დიდადაა დამოკიდებული ქართული ფეხბურთის შემდგომი წინსვლა. ოღონდ, მანამდე პარლამენტმა უნდა მიიღოს პროფესიონალი ფეხბურთელის შესახებ კანონი.

● ***სანამ პარლამენტი კანონის პროექტს განიხილავს, სანამ კლუბების მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური მდგომარეობა იმდენად გაუმჯობესდება, რომ ლიგაში გაერთიანდებიან... განა ყოველივე მოესწრება ამ ოთხწლედში?***

— დამიჯერეთ, ეს რეალურია, ის კი არა, ოთხი წელიც ბევრია. უკვე გაისისთვის ლიგის შესაქმნელად გადამწყვეტ ნაბიჯებს გადავდგამთ.

● ***ამასთან დაკავშირებით, ალბათ, ადადგენთ კლუბების პრეზიდენტთა საბჭოსაც, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობდით.***

— უსათუოდ. პროფესიული ლიგა მხოლოდ მათი ძალისხმევით შეიქმნება. ისინი აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ამ ორგანოს მართვაში.

● ***სფფ-ს ხშირად საყვედურობდნენ დახურული ობიექტივითა და კაცმა არ იცის, რა თანხები ტრიალებს იქო.***

— რაკი ქართველ ხალხს ასე აინტერესებს ეს საკითხი, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში აუცილებლად ვიზრუნებ, რათა ჩვენი ფინანსური საქმიანობა უფრო „გამჭირვალე“ გახდეს.

● ***ფინანსებზეა საუბარი და ბარემ ისიც გვითხარით, რა კომენტარს გაუკეთებდით შსს ორგანოების მიერ თქვენი კლუბის სამიწლისწინანდელი შემოწმების მასალებს, რომელიც სფფ-მ მხოლოდ მაშინ გამოამზეურა, როცა თქვენ არჩევნებში ჩაებით.***

— ეს შემოწმება არაპროფესიონალმა ადამიანებმა ჩაატარეს და მის შედეგებს ჩვენ თავიდანვე არ დავეთანხმეთ. მოკლე ხანში საზოგადოება მიიღებს შსს-სა და პროკურატურის ოფიციალურ პასუხს რა და როგორ მოხდა და ვართ თუ არა ვინმე ამ კლუბიდან რამეში დამნაშავე. ისე, გეთანხმებით, სფფ-ს მხრიდან ეს არაკაცური საქციელი იყო, თუ ეს „მასალები“ ჰქონდათ, რაღა ახლა, არჩევნების წინ გამოამზეურეს? ასეთი მეთოდებით საარჩევნო კამპანიის წარმართვას არასოდეს ვიკადრებ.

● ***ბატონო მერაბ, მოახლოვდა ახალი საფეხბურთო სეზონი. კლუბების უმრავლესობა, როგორც უწინ, სასტიკ ფინანსურ კრიზისს განიცდის, ბავშვთა ფეხბურთზე ხომ საერთოდ ლაპარაკიც არაა. რაშია გამოსავალი, როდემდე უნდა ეიჯახიროთ ასე?***

— ფეხბურთში ინვესტიციები უნდა ჩაიდოს. უცხოელი პარტნიორები ამისათვის მზად არიან. ისინი ძალიან სერიოზული ნაბიჯების გადადგმას გვპირდებიან. საფეხბურთო კლუბებმაც, ცხადია, რაღაც უნდა იღონონ. უცხოურ ტელეკომპანიებთან სფფ-ს კონტრაქტი წელს უმთავრდებოდა, მაგრამ იგი გაგრძელებულია და საკმაო ხნითაც, ეს კი ძალიან დამაბრკოლებელი ფაქტია. თუ ჩვენს პარტნიორებს დავანახვებთ, რომ ქართულ ფეხბურთში ურთიერთობები მოწესრიგებულია, ისინი მზად არიან „გამოისყიდონ“ არსებული კონტრაქტები და გაცილებით მეტი ფული გვაშოვნინონ.

● ***და მაინც, როდის გვე შველება?***

— ბუნებით ოპტიმისტი ვარ რეალური სიტუაციის სიმძიმის მიუხედავად, საკუთარი ძალებისა და კონტაქტების მტკიცედ მჯერა. ასე რომ არ იყოს, არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებდი. საშა ჩივაძე ისეთი პიროვნებაა, მასთან ერთად ბევრის გაკეთება შეიძლება.

ესაუბრა
ჯემალ ბიკაშვილი

FRANCE 98 INFORMATIONS

სტატისტიკის მოყვარულთათვის

1. XVI მსოფლიო ჩემპიონატის განაცხადში იყო 704 ფეხბურთელი. აქედან, თამაშებში მონაწილეობდა 574. გერმანელ ლოტარ მათეუსისათვის ეს მეხუთე ჩემპიონატი იყო. 4 ფეხბურთელისათვის — ბელგიელების — ენცო შიფოსთვის, ფრენკი ვან დერ ელსტის, ესპანელ ანდონი სუბისარეტასა და იტალიელ ჯუზეპე ბერგომისათვის — მეოთხე. 28 ფეხბურთელისათვის კი მესამე ჩემპიონატი გახლდათ.

2. ჩატარებულ 64 მატჩში გავიდა 171 გოლი, ერთ მატჩში საშუალოდ 2,6 ბურთი. პირველი ბურთი გაიტანა ბრაზილიელმა სეზარ სამპაიომ, ხოლო ბოლო — ფრანგმა ემანუელ პეტიმ.

ყველაზე „სწრაფი“ გოლი 50-ე წამზე პარაგვაელმა სელსო აიალამ გაიტანა (პარაგვაი — ნიგერია 3-1). შემდეგ მოდიან: დანიელები — იორგენსენი — მე-2 წუთზე (ბრაზილია — დანია 3-2) და მიოლერი — მე-3 წუთზე (დანია-ნიგერია 4-1). საერთოდ, ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე სწრაფი გოლი გავიდა 1962 წლის ჩემპიონატში და იგი გაიტანა ჩეხოსლოვაკიელმა მაშეკმა მე-15 წამზე (ჩეხოსლოვაკია — მექსიკა 3-1). შემდეგ მოდის: ინგლისელი რობსონი, რომელმაც ინგლის-საფრანგეთის მატჩის 28-ე წამზე გაიტანა გოლი. (1982 წლის ჩემპიონატში).

ამ ჩემპიონატის ყველაზე „გვიანი“ გოლი ფრანგ ლორან ბლანს ეკუთვნის — პარაგვაელთა კარში მატჩის 114-ე წუთზე. ეს იყო პირველი „ოქროს“ გოლი ჩემპიონატების ისტორიაში.

ყველაზე „გვიანი“ გოლი ჩემპიონატების ისტორიაში ინგლისელ ჰერსტს ეკუთვნის 1966 წლის ფინალური მატჩის 120-ე წუთზე. 3. „საფრანგეთი — 98“-ში გატანილი 171 გოლიდან თამაშის პირველ ნახევარზე მოდის 70 ბურთი, რაც შეადგენს 41%, მეორე ნახევარში კი — 101 ბურთი, ანუ 59%.

გატანილი გოლები მოდის 107 ფეხბურთელზე. აქედან — 15 შეცვლაზე შემოსულ ფეხბურთელებზე. აღსანიშნავია, რომ ესპანელმა კიკომ, რომელიც 65-ე წუთზე შევიდა თამაშში, 2 ბურთი გაიტანა, ხოლო დანიელმა სანდიმ და ჰოლანდიელმა ვან ჰოიდონკმა გოლები გაიტანეს შესვლიდან ერთი წუთის შემდეგ.

4. 171 ბურთიდან 6 „ავტო“ გოლია, დანარჩენი გოლები კონტინენტის მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: ევროპა — 98; სამხრეთი ამერიკა — 32; აფრიკა — 16; კონკაკაფი — 12; აზია — 7.

როგორც ვიცით, ჩემპიონატის დაწყებამდე ყველა ფეხბურთელმა მიიღო მუდმივი ნომერი. გოლები მოდის შემდეგი ნომრებით მოთამაშე ფეხბურთელებზე: მე-9 ნომრით მოთამაშე ფეხბურთელებზე — 34 ბურთი, მე-10 ნომრით მოთამაშეებზე — 15; მე-11 ნომრით მოთამაშეებზე — 14; მე-7 ნომრით მოთამაშეებზე — 12; მე-15 და მე-20 ნომრებით მოთამაშეებზე კი — 11-11 ბურთი.

ყველაზე ნაკლები ბურთი გაიტანეს მე-4 და 22-ე ნომრით მოთამაშე ფეხბურთელებმა — თითო.

6. სულ ჩემპიონატში დაფიქსირდა 13 სხვადასხვა ანგარიში. ყველაზე პოპულარული იყო 1-0 და 2-1, რომლებიც 12-12-ჯერ აღინიშნა. შემდეგ: 1-1 — 8-ჯერ, 2-2 — 7-ჯერ, ხოლო 3-0 — 6-ჯერ.

7. სულ ამ ჩემპიონატში დაინიშნა 18 11-მეტრიანი, 17 გავიდა, ხოლო 1 იუგოსლავიელმა მიატოვიჩმა კარის ძელს მოარტყა.

8. ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა საფრანგეთის ნაკრებმა — 15, ბრაზილიამ — 14, ჰოლანდიამ — 13, ყველაზე ნაკლები კი: იაპონიის, ტუნისის, კოლუმბიის, ბულგარეთისა და აშშ ნაკრებებმა, — თითო ბურთი.

ყველაზე ნაკლები გოლი გაუშვა საფრანგეთისა და პარაგვაის ნაკრებებმა — 2-2. ყველაზე მეტი ბურთი ბრაზილიის ნაკრების კარში გავიდა — 10 ბურთი, რაც საშუალოდ ერთ მატჩში შეადგენს 1,4 ბურთს.



9. ამ ჩემპიონატში 6-მა ნაკრებმა გამოავლინა გამარჯვებისაკენ სწრაფვა, ე.ი. გაიმარჯვა მატჩში, რომელსაც აგებდა. ეს ნაკრებებია: **ნიგერიის** (ნიგერია-ესპანეთი 3-2). ამ მატჩში ნიგერიელები ორჯერ აგებდნენ; **ნორვეგია** (ნორვეგია — ბრაზილია 2-1); **გერმანია** (გერმანია-მექსიკა 2-1); **ბრაზილია** (ბრაზილია — დანია 3-2); **მექსიკა** (მექსიკა — სამხრეთ კორეა 3-1) და **საფრანგეთი** (საფრანგეთი — ხორვატია 2-1).

10. თავდამსხმელთა „დუეტებმა“ გაიტანეს: ბრაზილიელები — რონალდო-ბებეტო — 7 ბურთი; იტალიელები — ვიერი-რ. ბაჯო —7; ხორვატები — შუკერი-ვლაოვიჩი — 7; გერმანელები — კლინსმანი-ბირჰოფი — 6; არგენტინელები — ბატისტუტა-კ.ლოპესი — 6; ჰოლანდიელები — კლიუვერტი-ბერგკამპი — 5; მექსიკელები — ერნანდესი-ბლანკო — 5; ინგლისელები — შირერი-ოუენი — 4; ჩილელები — სალასი-სამორანო — 4 და მაროკოელები — ბასირი-ჰადა — 4.

ვერც ერთი ბურთი ვერ გაიტანეს, შემდეგმა „დუეტმა“: ირანელები (დაეი-აზიზი); შოტლანდიელები (გალაჰერი-დიური); ბულგარელები (სტოიჩკოვი-პენევი).

11. 64 შეხვედრა კონტინენტებზე ასე ნაწილდება:

ევროპა — სამხ. ამერიკა — 15 მატჩი: +6 = 6 - 3 (20 - 14 = +6)
ევროპა — აფრიკა — 11 მატჩი: +4 = 4 - 3 (19 - 13 = +6)
ევროპა — აზია — 7 მატჩი: +6 = 1 - 0 (15 - 1 = +14)
ევროპა — კონკაკაფი — 6 +4 = 2 - 0 (12 - 6 = +6)
სამხ.ამერიკა — აფრიკა — 4 მატჩი: +3 = 1 - 0 (8 - 2 = +6)
სამხ. ამერიკა - აზია — 1 მატჩი: +1 = 0 - 0 (1 - 0 = +1)
სამხ. ამერიკა — კონკაკაფი — 1 მატჩი: +1 = 0 - 0 (5 - 0 = +5)
აზია — კონკაკაფი — 3 მატჩი: +1 = 0 - 2 (4 - 6 = -2)
აზია — აფრიკა — 1 მატჩი: +0 = 1 - 0 (2-2 = 0)

გარდა ამისა, ევროპის ნაკრებები ერთმანეთს 14-ჯერ შეხვდნენ, ხოლო სამხრეთ ამერიკის ნაკრებები — ერთხელ.

ერთმანეთს არ შეხვედრიან აფრიკისა და კონკაკაფის გუნდები.

12. პირველი გაფრთხილება მიიღო შოტლანდიელმა ჯექსონმა. სულ გუნდებმა მიიღეს 252 გაფრთხილება. ყველაზე მეტი გაფრთხილება აქვს ხორვატიის ნაკრებს — 19. შემდეგ მოდიან: ჩილე — 13; ბრაზილია, საფრანგეთი და გერმანია — 12-12; იტალია — 11.

პირველი გაძევებული ფეხბურთელი ბულგარელი ნანკოვია. სულ 22 გაძევებაა. საფრანგეთისა და კამერუნის 3-3 ფეხბურთელი გააძევეს: 2-2 დანიის, ჰოლანდიისა და მექსიკის, ხოლო თითო ფეხბურთელი გაუძევეს: ინგლისის, გერმანიის, არგენტინის, შოტლანდიის, სამხ. აფრიკის, საუდის არაბეთის, ბულგარეთის, სამხრეთ კორეის, იამაიკისა და ბელგიის ნაკრებებს.

13. 64 მატჩს დაესწრო 2989015 მაყურებელი, საშუალოდ ერთ მატჩს 46 703, ქალაქების მიხედვით მაყურებელთა რაოდენობა განაწილდა შემდეგნაირად: **სენ-დენი,** ჩატარდა 9 მატჩი, დაესწრო 714 000 მაყურებელი, საშუალოდ 79333 მაყურებელი. **მარსელი,** 7 მატჩი, — 412 000 მაყურებელი, საშუალოდ 58857. **პარიზი,** 6 მატჩი — 286 515 მაყურებელი საშუალოდ 47 752. **ლიონი,** 6 მატჩი — 254 100 მაყურებელი, საშუალოდ — 42 350. **ლანსი,** 6 მატჩი — 241 298 მაყურებელი, საშუალოდ — 40 216. **ნანტი,** 6 მატჩი — 226 266 მაყურებელი, საშუალოდ — 37 711; **ტულუზა,** 6 მატჩი — 219 900 მაყურებელი, საშუალოდ 36 550; **მონპელიე,** 6 მატჩი — 212 500 საშუალოდ — 35 416; **ბორდო,** 6 მატჩი — 212 436, საშუალოდ — 35 406; **სენტ-ეტიენი,** 6 მატჩი — 210 000, საშუალოდ — 35 000.

14. „საიუბილეო გოლები“ გაიტანეს შემდეგმა ნაკრებებმა: მე-100 გოლი: არგენტინის ნაკრებმა (კ. ლოპესი) და იტალიის ნაკრებმა (ლუიჯი დი ბიაჯო); მე-80 — საფრანგეთის ნაკრებმა (ზიდანი); მე-60: ესპანეთის (კიკო); ინგლისის (ბეკემი) და იუგოსლავიის (კომლიენოვიჩი); 50-ე გოლი — ჰოლანდიის ნაკრებმა (რ. დე ბური).

ვეფხვია ჯალაღონია,
აფხაზეთი, ს. ფშაფი.



ემე ჟაკე: დიდი გუნდი დიდი ოთამაშეებით

ემე ჟაკეს ადრე საფრანგეთში ძალიან კარგად იცნობდნენ, როგორც ფეხბურთელს. იგი ხომ ოთხჯერ „სენტ-ეტიენის" შემადგენლობაში საფრანგეთის ჩემპიონი გახდა, ორჯერ კი თასი მოიპოვა. შემდეგ, როცა მწვრთნელი გახდა, „ბორდოს" სათავეში სამჯერ ჩემპიონობა მოიპოვა, ორჯერ კი თასი. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, რა თქმა უნდა, საერთაშორისო აღიარებას ჯერ კიდევ არ მოასწავებდა. ვინ იცის, რა მოხდებოდა შემდეგ, რომ ემე ჟაკეს ეროვნული ნაკრების მეორე მწვრთნელად არ დაეწყო მუშაობა და ამ გუნდს... ნამდვილი კატასტროფა არ მოსვლოდა. დიახ, მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ფრანგებს ფინალში გასასვლელად საკუთარ მინდორზე ისრაელისა და ბულგარეთის ნაკრებებთან შეხვედრაში სულ ერთი ქულაღა სჭირდებოდათ, ორივე კი წააგეს. ამის შემდეგ იყო, რომ ჟერარ ულიემ ქუდი დაიხურა

FRANCE 98 INFORMATIONS

და ნაკრების სადავეები 1993 წლის დეკემბრიდან მეორე მწვრთნელად მოუშავე ემე ჟაკეს გადაეცა.

ჟაკეს პირველი წარმატება ევროპის 1996 წლის ჩემპიონატში დაუმარცხებლად გამოსვლა იყო, მეორე და პირდაპირ გასაოცარი — მსოფლიო ჩემპიონობის ასევე დაუმარცხებლად მოპოვება.

რას ფიქრობს ჟაკე ახლა უკვე ისტორიად ქცეული შეჯიბრების შესახებ?

— ჩვენ გავიმარჯვეთ ფინალურ მატჩში, იმიტომ, რომ ძალიან გვინდოდა მოგება. ეს მაღალი კლასის თამაში იყო. ვმოქმედებდით, როგორც შედუღაბებული გუნდი. გამარჯვება დავიმსახურეთ, რადგან მოთამაშეები ნამდვილი პროფესიონალებივით მოიქცნენ. აქ მინდა კიდევ ერთხელ მოვიხსენიო კეთილი სიტყვებით ზაგალო. მიუხედავად იმისა, რომ მე დღეს გამარჯვებული ვარ, ის კი წაგებული, ზაგალო ჩემთვის დიდ ფეხბურთელად და დიდ მწვრნელად რჩება. მის ცხოვრებას რომ მივუახლოვდე, ორი ცხოვრება უნდა ვიცხოვრო.

● *თქვენ კიდევ ერთი მატჩი ითამაშეთ ისე, რომ თავდამსხმელებს გოლი არ გაუტანიათ. საერთოდ კი, გატანილი გოლების მხოლოდ მესამედი მოდის თავდამსხმელების ანგარიშზე.*

— რა მოხდა, მერე. რა მნიშვნელობა აქვს ვის გააქვს გოლი? იგივე გივარშმა ბევრი რამ გააკეთა გამარჯვებისთვის, თუმცა, გოლი არ გაუტანია.

● *თუ შეიძლება, მოკლედ დაახასიათეთ თქვენი გამარჯვება?*

— ეს იყო ორწლიანი მძიმე მუშაობის შედეგი. 22-მა ფეხბურთელმა და [illegible]ონელებმა გადაწყვიტეს ქვეყნის გაბედნიერება. ეს მოვახერხეთ კიდეც. მთელი ტურნირის განმავლობაში ყველაზე უკეთესად ვთამაშობდით, გვჯეროდა გუნდისა და გამარჯვებისა.

● *ამ ჩემპიონატის ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტები?*

— ასეთი ბევრი იყო. მაინც პირველ რიგში იმის აღნიშვნა მინდა, როგორ შეცვალეს სხვებმა ზიდანი, ბლანი, დესაი, როცა ისინი მინდორზე არ იყვნენ. ეს იმიტომ, რომ ისეთი კოლექტივი გვყავდა, რომელიც სულ უფრო უკეთ და უკეთ თამაშობდა.

● *ჩემპიონატის დაწყებამდე და მისი მსვლელობის დროსაც ბევრი ჟურნალისტი სასტიკად გაკრიტიკებდათ, ისე, რომ მტერსაც არ უსურვებ.*

— დიახ, ასე იყო საქმე. მაგრამ დავამტკიცე, რომ საფრანგეთს დიდი გუნდი ჰყავს დიდი მოთამაშეებით. ჟურნალისტებს კი, არასდეს ვაპატიებ. მათ გვიღალატეს! ჩემი კანდიდატურა საეჭვოდ მიაჩნიათ. ქვეყნის ერთადერთი ყოველდღიური სპორტული გაზეთის (საწყენია, რომ ერთადერთია) „ეკიპის" კორესპონდენტები თვლიან, რომ მათ ფეხბურთში საერთოდ არაფერი გაეგებათ.

● *ჩემპიონატის დაწყებამდე განაცხადეთ, რომ ნაკრებში მუშაობას აღარ გააგრძელებდით. ხომ არ შეგიცვლიათ გადაწყვეტილება?*

— არა... კაპიტანმა დიდიუ დეშამმა ნაკრების სახელით მთხოვა დავრჩე. ახლა ჩვენს ფეხბურთში შესანიშნავი სიტუაციაა, მინდა საფეხბურთო საქმიანობა განვაგრძო. ჯერ არ ვიცი, რას მოვიმოქმედებ, მაგრამ ნაკრებში აღარ ვიმუშავებ.

● *მაშინაც, პრეზიდენტმა რომ გთხოვოთ?*

— ჯერ ერთი, იგი ამას არ იზამს, სხვა პრობლემებიც საკმაოდ აქვს. რა მოხდება, მაინც რომ მთხოვოს? კაცმა თავისი სიტყვა არ უნდა გატეხოს.

● *ახლა რაღას გააკეთებთ?*

წყნარად, მშვიდად ვიცხოვრებ — ჩემს ოჯახში.

ჯერ ნაკრებს, შემდეგ კლუბსაც გამოეთხოვება

როგორც 33 წლის გეორგე ჰაჯიმ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ამიერიდან იგი ეროვნულ ნაკრებში აღარ ითამაშებს. ამ გუნდში იგი მთელი 16 წლის მანძილზე თამაშობდა, 115-ჯერ გამოვიდა და 33 გოლი გაიტანა.

ახლა ჰაჯი განაგრძობს თამაშს სტამბულის კლუბ „გალათასარაიში", რომელთანაც კონტრაქტი აქვს მერმისს ზაფხულამდე. შემდეგ იგი სამშობლოში დაბრუნდება, სადაც ან მწვრთნელი გახდება, ანდა, კლუბის პრეზიდენტი.

ჰაჯიმ ბოდიში მოუხადა რუმინელ ჟურნალისტებს, რომლებსაც რუმინეთის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე ბოიკოტი მოუწყო. ამით, ფეხბურთელებმა გადაწყვიტეს მათი „დასჯა" სხვადასხვა ჭორის გამოქვეყნებისათვის, რომლებიც ძირითადად მოთამაშეების თითქოსდა ზღაპრულ შემოსავლებს ეხებოდა.

ამ მკაცრმა დონისძიებამ, ჰაჯის აზრით, მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთელების სიმშვიდე დაიცვა.

მოკლედ...

● ოთხშაბათს დორტმუნდის „ბორუსიას" ექს-მწვრთნელმა იტალიელმა ნევიო სკალამ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებულ მადრიდის „რეალთან".

● **„არსენალის"** ვეტერანმა, ახლო წარსულში ინგლისის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელმა, შაკანანმა იან რაიტმა სხვა ლონდონურ კლუბთან „ვესტ ჰემ იუნაიტედთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

● **კატალონური** კლუბის ჰოლანდიელი მწვრთნელი ლუის ვან გაალი განაგრძობს [illegible] მემამულე [illegible] ფეხბურთელების გადაბირებას. ამჟამად მას „ბარსელონაში" სურს იხილოს მცველი ფრენკ დე ბური. ფეხბურთელთან მოლაპარაკება აქვს ესპანური კლუბის პრეზიდენტი ხოსე ლუის ნუნიესს. რაც შეეხება ფრენკის ტყუპისცალ რონალდს, მას ლონდონის „არსენალი" ეპატიჟება.

● **გალთა** მსოფლიო ჩემპიონატი აშშ-ში, 1999 წლის ივნისში გაიმართება. უკვე გადაწყდა, რომ მონდიალს შვიდი ამერიკული ქალაქი უმასპინძლებს.

„მოგვაშორეთ კოლოსკოვი და მწვრთნელიც გამოიძებნება"

ასეთი თავისებური სათაურით გამოაქვეყნა მოსკოვის „კომსომოლსკაია პრავდამ" ვრცელი მიმოხილვა, სადაც მკითხველები ლაპარაკობენ რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრების პრობლემებზე და მისი მომავალი მწვრთნელის თავიანთ კანდიდატურასაც ასახელებენ.

როგორც რედაქცია აცხადებს, მას შემდეგ, რაც მკითხველებს სთხოვა დაესახელებინათ ნაკრების მწვრთნელი, არ წყდება ტელეფონის ზარი და მოდის უამრავი წერილიც.

პირველი ტელეფონის ზარი ვოლგოგრადიდან გაისმა. ეს დანიშნულ ვადაზე ერთი დღით ადრე მოხდა. მკითხველმა დაასახელა „როტორის" მწვრთნელი ვიქტორ პროკოპენკოს კანდიდატურა და რედაქციას აღუთქვა, რომ ამ სპეციალისტზე ბევრ საინტერესოს მოუყვება. ეს კია, რომ მას შემდეგში უკვე აღარ დაურეკავს.

აი წინადადება ნოვოსიბირსკიდან:

— ჩემი კანდიდატურა ანატოლი ბიშოვეცია. ჩვენთან რუსეთში ნაკრების მოთამაშეები შეტად საშულო დონისანი არიან. ბიშოვეცმა კი პეტერბურგის „ზენიტის" მაგალითით დაამტკიცა, რომ შეუძლია საშუალო მოთამაშეებისაგან საკმაოდ ძლიერი გუნდის შექმნა. გაზეთი „სპორტ-ექსპრესი" კი გვთავაზობს ბორა მილუტინოვიჩს, მაგრამ გულახდილად ვაღიაროთ, საამისო ფული ჩვენ სადა გვაქვს.

წინადადება მინსკიდან:

— არა ვთვლი, რომ სხვა ქვეყანაში ვცხოვრობ, ყოველთვის რუსეთის ნაკრების გულშემატკივარი ვარ. გაიხსენეთ, როგორ დაუმსახურებლად გაანაწყენეს თავის დროზე ედუარდ მალოფეევი. 1986 წელს მან ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა, მექსიკაში გამგზავრების წინ კი ლობანოვსკით შეცვალეს. საჭიროა მის მიმართ ბოდიშის მოხდა და შესაძლებლობის მიცემა, მით უმეტეს, რომ იგი ამჟამად თავისუფალია. ბიშოვეციც შესაფერი კანდიდატურაა. ის ხომ მალოფეევის მსგავსად, ნაკრებიდან დაუმსახურებლად მოხსნეს.

ზარი კალუგიდან:

— მწვრთნელად კოლოსკოვს გთავაზობთ. ერთი წლის შემდეგ იგი ყველაფერს დაღუპავს და მაშინ ფეხბურთს სამუდამოდ დავატოვებინებთ. სხვანაირად როგორ გინდათ მისი თავიდან მოშორება? ერთი წელიც გავწიროთ მომავალი გამარჯვებების მოსაპოვებლად.

კალინინგრადელი გულშემატკივარი:

— მიაქციეთ ყურადღება „ბალტიკის" მწვრთნელ ლეონიდ ტკაჩენკოს. იგი იმ მცირერიცხოვან მწვრთნელებს მიეკუთვნება, რომლებიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში მუშაობდნენ — სათავეში ედგა ხარკოვის „მეტალისტს", რომელიც მაშინ თასს დაეუფლა. უკვე მერამდენე წელია „ბალტიკა" სრული უფულობის პერიოდში საკმაოდ მაღალ დონეზე ჰყავს. გერშკოვიჩს გვთავაზობენ. ეს ხომ ერთი დღის ამბავია.

გამოხმაურება სანკტ-პეტერბურგიდან:

— ვალერი ნეპომნიაშჩის კანდიდატურას გთავაზობთ. გახსოვთ, როგორ ბრწყინვალედ წვრთნიდა იგი კამერუნის ნაკრებს. შეიძლება ბენიამინას ზელკიავიჩუსის მოწვევაც. კოლოსკოვის ნაცვლად ვიქტორ პონედელნიკის მუშაობა სჯობს. ბიშოვეცს ჩვენგან ნუ წაიყვანთ, დაგვაცადეთ, ჩვენც გვინდა კარგი მწვრთნელი.

მოსკოველი გულშემატკივარი ასე ფიქრობს:

— ბიშოვეცი ნაკრებში მუშაობას არ მოისურვებს, სანამ კოლოსკოვი ფედერაციის სათავეშია. ფედერაციის პრეზიდენტად კი პატიოსანმა ევგენი ლოვჩევმა უნდა იმუშაოს. ნახავთ, როგორ შეიცვლება საქმე.

კიდევ ერთი მოსკოველი:

— ხომ არ გვეთხოვა კონსტანტინ ბესკოვისათვის. იგი ხომ ავტორიტეტული კაცია და არავისი ეშინია.

ზარი სტავროპოლის მხარიდან:

— მხოლოდ ბიშოვეცი. მაგრამ ამისათვის საჭიროა კოლოსკოვის მოხსნა.

კვლავ მოსკოველი:

— ხმას ბიშოვეცს ვაძლევ. მართალია, რომანცევიც ღირსეული კანდიდატურაა, მაგრამ მისთვის რა აზრი აქვს ერთ მდინარეში მეორედ შესვლას. ძალიან მაინტერესებს ვის მოაფიქრდა გერშკოვიჩის შემოჩენება.

გულშემატკივარი ეკატერინბურგიდან:

— სანამ მწვრთნელს დანიშნავენ, ჯერ დეე, პროკურატურამ რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის საქმეები გაარკვიოს. მასთან ხომ ვერავინ იმუშავებს. ჯერ თავია შესამოწმებელი, რომელიც დიდი ხანია ყარს.

როსტოველი გულშემატკივარი:

— მწვრთნელად სერგეი ანდრეევმა უნდა იმუშაოს „როსტსელმაშიდან". იგი შესანიშნავი ადამიანია. მუშაობაში პირდაპირ თვალები უბრწყინავს. იგი ძალიან ბევრს მიაღწევდა, ყოველ წელს მოთამაშეებს რომ არ სტაცებდნენ.

კიდევ ერთმა ეკატერინბურგელმა კი დისკუსია ასე დაამთავრა:

— ეჰ, მოსკოველებო, თქვენ ბავშვებივით ნუ მსჯელობთ! ჯერ კოლოსკოვი მოგვაშორეთ, ნახავთ, მწვრთნელი თავისით გამოიძებნება.

თქვენ რაღას იტყვით?

ახლა, როცა რუსულ პრესაში დიდი დავა მიმდინარეობს ნაკრების მთავარი მწვრთნელის დანიშვნის გამო, საინტერესოა, რას ფიქრობენ მთავარი კანდიდატები.

ანატოლი ბიშოვეცმა (სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი") ჟურნალისტებთან საუბარში აღიარა, რომ საუბარი ჰქონდა ოფიციალურ პირებთან. დათანხმდება მათ თუ არა, ეს კი აღარ უთქვამს. მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ბიშოვეცს არაფერი აქვს ნაკრებში მუშაობის საწინააღმდეგო, მაგრამ გარკვეულ მოთხოვნებს წამოაყენებს, ფინანსურს არა, უფრო კადრებთან დაკავშირებულს.

ოლეგ რომანცევი (მოსკოვის „სპარტაკი") — საყოველთაოდ ცნობილია: ფეხბურთის ფედერაციის ახლანდელ ხელმძღვანელობასთან და მოთამაშეების ახლანდელ თაობასთან (იგულისხმება, რა თქმა უნდა, ნაკრების ძირითადი კანდიდატები) იგი ვერ იმუშავებს. „აი, გულშემატკივრები თუ ძალიან მთხოვენ..."

ვიქტორ პროკოპენკო (ვოლგოგრადის „როტორი") — სასიამოვნოა, რა თქმა უნდა, როცა გულშემატკივრები ჩემს კანდიდატურას ასახელებენ. ისე კი, ეს თანამდებობა ჩემთვის არავის შემოუთავაზებია. თვით კი არ დავუწყებ თხოვნას. ჩვენთან ხომ ასე, როგორც კი საკლუბო მწვრთნელი ნაკრებში მუშაობას იწყებს, კარგად „გამოხრავენ", გალანძღავენ და გამოაგდებენ.

ლეონიდ ტკაჩენკო (კალინინგრადის „ბალტიკა"): წინადადებაც რომ მომცენ, მაინც უარს ვიტყვი. მართალია, 1993-94 წლებში უკრაინის ნაკრებში ვმუშაობდი, მაინც არა მაქვს სათანადო გამოცდილება. მწვრთნელი მხოლოდ მისი კოლეგების აზრის გათვალისწინებით უნდა დაინიშნოს.

საქართველო — 830 000 CHF

ევროპის საკლუბო ტურნირების დამთავრების შემდეგ უეფამ ტრადიციულად, გაანაწილა შემოსავალი.

1997-98 წლების სეზონი (შვეიცარიულ ფრანკებში)

ჩემპიონთა ლიგა

	კლუბები	ჯგუფური	მატჩები		შემდგომი	ეტაპი		სულ
		საწყისი	პრემიალური	ტელევიზიდან	1/4 ფინალი	1/2 ფინალი	ფინალი	CHF
„A" ჯგუფი	დორტმუნდი	2.000.000	5.000.000	4.785.000	3.000.000	3.250.000	–	18.035.000
	პარმა	2.000.00	3.500.000	2.475.000	–	–	–	7.975.000
	სპარტა	2.000.000	2.000.000	500.000	–	–	–	4.500.000
	გალათასარაი	2.000.000	1.500.000	632.500	–	–	–	4.132.500
„B" ჯგუფი	მანჩესტერი	2.000.000	5.000.000	3.025.000	3.000.000	–	–	13.025.000
	იუვენტუსი	2.000.000	4.000.000	3.025.000	3.000.000	3.250.000	4.000.000	19.275.000
	ფეიენოორდი	2.000.000	3.000.000	900.000	–	–	–	5.900.000
	კოშიცე	2.000.000	–	500.000	–	–	–	2.500.000
„C" ჯგუფი	დინამო კიევი	2.000.000	4.000.000	500.000	3.000.000	–	–	9.500.000
	ეინდჰოვენი	2.000.000	3.500.000	1.100.000	–	–	–	6.600.000
	ნიუკასლი	2.000.000	2.500.000	2.475.000	–	–	–	6.975.000
	ბარსელონა	2.000.000	2.000.000	2.475.000	–	–	–	6.475.000
„D" ჯგუფი	რეალი	2.000.000	4.500.000	3.000.000	3.025.000	3.250.000	5.000.000	20.775.000
	რუსენბორგი	2.000.000	4.000.000	500.000	–	–	–	6.500.000
	ოლიმპიაკოსი	2.000.000	2.000.000	500.000	–	–	–	4.500.000
	პორტო	2.000.000	1.500.000	500.000	–	–	–	4.000.000
„E" ჯგუფი	ბაიერნი	2.000.000	4.000.000	4.785.000	3.000.000	–	–	13.785.000
	პსჟ	2.000.000	4.000.000	2.475.000	–	–	–	8.475.000
	ბეშიქთაში	2.000.000	2.000.000	517.500	–	–	–	4.517.500
	გეტებორგი	2.000.000	2.000.000	500.000	–	–	–	4.500.000
„F" ჯგუფი	მონაკო	2.000.000	4.500.000	3.025.000	3.000.000	3.250.000	15.775.000	
	ბაერი	2.000.000	4.500.000	3.915.000	3.000.000	–	–	13.415.000
	სპორტინგი	2.000.000	2.500.000	500.000	–	–	–	5000.000
	ლიერსი	2.000.000	500.000	500.000	–	–	–	3.000.000
სულ:		48.000.000	72.000.000	43.000.000	24.000.000	13.000.000	9.000.000	209.135.000

შენიშვნა: გუნდს მოგებისათვის ეძლევა 1 მილიონი, ფრესათვის — 0,5 მილიონი.
უეფამ გასცა პრემიალური თანხები ასოციაციებზეც, რომლებიც თავის მხრივ ამ ფულს გაუნაწილებენ ევროთასების გათამაშებაში მონაწილე თავიანთ გუნდებს. ასე, სფფ-ს გადმოურიცხა 830.000 შვეიცარიული ფრანკი, აქედან, წესისამებრ 200.000 ეკუთვნის ფედერაციას, დანარჩენი — თბილისისა და ბათუმის „დინამოს", ფოთის „კოლხეთი-1913"-ს და თბილისის „მერანი-91"-ს.

უეფას საკლუბო გუნდების 1998-99 წლების სეზონის განრიგი

ევროტურნირების საკვალიფიკაციო ეტაპების განრიგი, რომელშიც სხვებთან ერთად ჩვენი კლუბებიც მონაწილეობენ, უკვე გაუწყეთ. ახლა კი უეფას სამივე ტურნირის (ჩემპიონთა ლიგა, თასების მფლობელთა თასი და უეფას თასი) შემდგომი რაუნდების კალენდარს გთავაზობთ:

1998 წელი:

27 აგვისტო: ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის წილისყრა.

28 აგვისტო: თასების მფლობელთა თასის და უეფას თასის პირველი ეტაპის წილისყრა.

28 აგვისტო: უეფას სუპერთასი.

15-17 სექტემბერი: ჩემპიონთა ლიგის პირველი ტური, თასების მფლობელთა თასის და უეფას თასის პირველი რაუნდის პირველი მატჩები:

29 სექტემბერი-1 ოქტომბერი: ჩემპიონთა ლიგის მეორე ტური, თასების მფლობელთა თასის და უეფას თასის პირველი რაუნდის მეორე მატჩები.

2 ოქტომბერი: თასების მფლობელთა თასის და უეფას თასის მეორე რაუნდის წილისყრა.

20-22 ოქტომბერი: ჩემპიონთა ლიგის მესამე ტური, თასების მფლობელთა თასის და უეფას თასის მეორე რაუნდის პირველი მატჩები.

3-5 ნოემბერი: ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ტური, თასების მფლობელთა თასის და უეფას თასის მეორე რაუნდის მეორე მატჩები.

6 ნოემბერი: უეფას თასის მესამე რაუნდის წილისყრა.

24-26 ნოემბერი: ჩემპიონთა ლიგის მეხუთე ტური, უეფას თასის მესამე რაუნდის პირველი მატჩები.

1 დეკემბერი: საკონტინენტთაშორისო თასი, ტოკიო.

8-9 დეკემბერი: ჩემპიონთა ლიგის მეექვსე ტური, უეფას თასის მესამე რაუნდის მეორე მატჩები.

16 დეკემბერი: ჩემპიონთა ლიგის, თასების მფლობელთა თასის და უეფას თასის მეოთხედფინალების წილისყრა.

1999 წელი. 2-4 მარტი: უეფას სამივე ტურნირის მეოთხედფინალების პირველი მატჩები.

16-18 მარტი: უეფას სამივე ტურნირის მეოთხედფინალების მეორე მატჩები.

19 მარტი. უეფას სამივე ტურნირის ნახევარფინალების წილისყრა.

6-8 აპრილი: უეფას სამივე ტურნირის ნახევარფინალების პირველი მატჩები.

20-22 აპრილი: უეფას სამივე ტურნირის ნახევარფინალების მეორე მატჩები.

12 მაისი: უეფას თასის ფინალი.

19 მაისი: თასების მფლობელთა თასის ფინალი.

26 მაისი: ჩემპიონთა ლიგის ფინალი.

გარჩევები იწყება

ბულგარეთის ნაკრების დიდ მარცხს მსოფლიო ჩემპიონატში მეტად სერიოზული შედეგები მოჰყვება და საქმე მხოლოდ მთავარი მწვრთნელის ხრისტო ბონევის გადადგომით არ დამთავრდება.

როგორც ბონევმა განაცხადა, ნაკრებს სათავეში უნდა ჩაუდგეს ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელსაც მშვიდი მუშაობის საშუალება უნდა მიეცეს. ასეთად ბონევმა დაასახელა დიმიტარ დიმიტროვი, რომელმაც კლუბ „ლიტექსს“ ბულგარეთის ჩემპიონობა მოუპოვა, აგრეთვე გიორგი ვასილევი, ყოფილი მთავარი მწვრთნელი დიმიტარ პენევი და ივან კუჩიუკოვი.

რაც შეეხება ბულგარეთის ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარე ივან სლავკოვს, მან განაცხადა, რომ გადადგომას არ აპირებს, თუმცა, მიმზილველთა აზრით, სლავკოვის ბედი გადწყვეტილია. როგორც აღნიშნავენ, იგი ძალიან ჩაეფლო კომერციულ საქმიანობაში და პასუხიც უნდა აგოს ბულგარეთის ნაკრების ცუდ უსახური თამაშისათვის.

– ყველა მონაწილე გუნდი ჩვენზე უკეთესად გამოვიდა – წერს სოფიის გაზეთი „24 საათი“ – ერთი ბულა, ერთი გატანილი გოლი, შვიდი გაშვებული, მძიმე ბალანსია, რომელმაც 36 წლით უკან დადაგვიტოლა. მაშინ, მსოფლიო ჩემპიონატში დებიუტორის, სწორედ ასეთი შედეგები გვქონდა.

საქართველომ წინ წაიწია

ფიფამ გამოაქვეყნა ეროვნული ნაკრებების ახალი რეიტინგი, რომელშიც შევიდა საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებიც. კვლავინდებურად პირველ ადგილზეა ბრაზილია, მეორეზე მეჩვიდმეტედან გადმოინაცვლა საფრანგეთმა, მესამე საფეხურზეა გერმანია, მეოთხეზე – ხორვატია, მეხუთეზე – არგენტინა.

სასიამოვნოა, რომ კვლავ *წინ გადაინაცვლა საქართველოს ნაკრებმა.* თუ მაისის რეიტინგში 52-ე პოზიცია გვეკავა, *ახლა უკვე 44-ზე ვართ.*

FRANCE 98 INFORMATIONS

ვარიაციები თემაზე

ბოლო მსოფლიო ჩემპიონატებიდან ფეხბურთის ტაქტიკურ-სტრატეგიულ განვითარებას, სიახლეებსა და არაორდინარულობას აღარავინ ელის. ფეხბურთის გამყინვარების ხანა დადგა, სამაგიეროდ, გეოგრაფიული თვალსაზრისით აველანეისა და ბლატერის წყალობით წინ წაიწია. საფრანგეთ-98-ს წინა მსოფლიო ჩემპიონატების ამა თუ იმ ტრადიციებისთვის ნაღდად არ უღალატია, უბრალოდ, რაღაც-რაღაცებმა მოდერნიზაცია განიცადა და ისიც მხოლოდ ზედაპირულად — ფეხბურთს თავისი სული და გული შეუნარჩუნდა ანუ ბლატერის სიტყვებით რომ ვთქვათ „ფეხბურთი იგივეა, რაც კლასიკური დრამა“ და მართლაც, მსოფლიოს ნომერ პირველი სპორტის მომხიბვლელობაც სწორედ დრამატიზმია...

პლატინი – ზიდანს: ზინედინ, ალბათ კარგად გესმის თუ რას ნიშნავს საფრანგეთის ნაკრების მე-10 ნომრიანი მაისურით თამაში...

საფრანგეთის ეროვნული გუნდი ერთ-ერთი ფავორიტი კი იყო, მაგრამ მის გაჩემპიონებას ცოტა ვინმე თუ ელოდა — თვით ფრანგი ჟურნალისტები, ექსპერტები თუ სპეციალისტები. ეჭვის თვალით უყურებდნენ ემე ჟაკეს ბიჭების აღზევებას. ანელკაზე და ჟინოლაზე უარის თქმამ ემე ჟაკეს მიმართ ნდობა კიდევ უფრო გაანელა. მაგრამ ფრანგთა თავკაცმა სასწაული შეძლო — ფაქტიურად უთავდამსხმელოდ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი. პირესი, დიომედი, ტრეზეგე, გივარში და დიუგარი ერთად რომ ავიღოთ, ალბათ, მაინც ვერ მივიღებთ მსოფლიო ჩემპიონობისათვის საკადრის თავდამსხმელს. სამაგიეროდ, ჟაკეს საბრძოლო არსენალში იყნენ უნივერსალური განაპირა მცველები: ტურამი და ლიზარაზუ; მრისხანე სტოპერი დესაი; საიმედო ცენტრალური მცველი ბლანი; ზედმიწევნით ბრძოლისუნარიანი საყრდენი ნახევარმცველები პეტი და დეშამპი; მიმქრალი ვარსკვლავი, მაგრამ ჯერ კიდევ გამოსადეგი ჯორკაეფი. ემე ჟაკეს გუნდი ანუ შეუპოვრობა — საფრანგეთი — 98-ის ტრიუმფატორი. მაგრამ ამ ტრიუმფატორ გლადიატორებს ერთი „ბზატვარი“ რომ არ ჰყოლოდათ, ალბათ, ვერ ეღირსებოდნენ ესოდენ დიდ წარმატებას. ეს შემოქმედი კი, რა თქმა უნდა, ალჟირელი ემიგრანტის ვაჟი ზინედინ ზიდანია. ნამდვილი სუპერმოთამაშე, „საფრანგეთი-98“-ის მშვენება...

ახლა კი მოდით ერთი-ორი სიტყვა სხვა ფაქტორზეც ვთქვათ, რასაც მონდიალის მასპინძელი-ქვეყანა ჰქვია. გახმაურებული, სკანდალური მატჩები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპებზე არახალია, ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, ესპანეთი-82 გავიხსენოთ (გფრ — ავსტრია 1-0), ან კიდევ არგენტინა — 87 (არგენტინა — პერუ 6-0). საფრანგეთი-98-ზე კი ყველაზე სკანდალური მატჩად გერმანია — ხორვატია გამოდგება, ამ წყვილის გამარჯვებული ხომ ჩემპიონატის მასპინძლებს უნდა შეხვედროდა ნახევარფინალში. ფრანგები კი ტრადიციულად უხეიროდ თამაშობენ გერმანელებთან, განსაკუთრებით მონდიალის ნახევარფინალებში (გავიხსენოთ 1982 და 1986 წლების ჩემპიონატები). თანაც ფრანგებს მაშინ ხომ ბრწყინვალე ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ნაკრებები ჰყავდათ, სადაც გამოდიოდნენ პლატინი, ტიგანა, ჟირესი, ტრეზორი, ბოსი, ლერუ... მაგრამ გფრ-ს ვერას უხერხებდნენ. ისიც მართალია, რომ გერმანელებს ამჯერად აღარ ჰყავდათ კარლ-ჰაინც რუმენიგე, თუმცა სიფრთხილეს ხომ თავი არ სტკივა. გერმანია — ხორვატიას მატჩის ნორვეგიელმა არბიტრმა რენე პედერსენმაც ეტყობა კარგად გაითავისა არსებული ვითარება და გერმანელთა მცველ კრისტიან ვიორნს წითელი ბარათი აუფრიალა შუკერთან უხეშობისთვის, აქაოდა, ბოლო იმედის ჯარიმა იყო. მაგრამ შუკერმა, ვიდრე მას ვიორნსი შეეჯახებოდა, ბურთი ხომ მოედნის ცენტრისკენ გაიგდო და არა კიპკეს მიმართულებით. ცენტრში კი იურგენ კოლერი იყო, რომელსაც „პენსიონერობას“ ნაღდად დაუბრალებს კაცი, მაგრამ უზარმაზარი გამოცდილების მცველს პარტნიორის დაზღვევა ასეთ სიტუაციაში განა არ შეეძლო? 10X11-ზე გერმანიის ეროვნული გუნდი, რომელსაც „პირში სული ძვრებოდა“, აბა რას გახდებოდა ხორვატებთან. თუმცა ჯელაფერი აქ როდი მთავრდება. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხორვატთა თავკაცი მიროსლავ ბლაჟევიჩი ერთი პერიოდი სწორედ საფრანგეთში მუშაობდა („ნანტს“ წვრთნიდა) და ერთხელაც თითქმის ერთი თვე მოუწია ფრანგულ სატუსაღოში ყოფნამაც, რადგან ბერნარ ტაპის გახმაურებულ სკანდალში ფიგურირებდა. ასე რომ, საფრანგეთში კარგად უწყინან, თუ რა კაცია მიროსლავ ბლაჟევიჩი...

მწვრთნელთა ავადმყოფურ ჭირვეულობას ვერც საფრანგეთში მოეღო ბოლო. აბა რა უნდა ვუწოდოთ იმას, რასაც ბერტი ფოგთსი აკეთებს — შტეფან ეფენბერგს 4 წლის წინათ (!) ჩადენილი ბავშვური ხულიგნობა დღემდე არ აპატია. არადა, ეფენბერგი, როგორც გამთამაშებელი ბუნდესლიგის მატჩებში მიოლერზე და ჰესლერზე (რომლებმაც ვერაფრით გამოიჩინეს თავი საფრანგეთი-98-ზე) უკეთ გამოიყურებოდა. ეს ჩვენი სუბიექტური აზრი არ გახლავთ, ამას მთელი გერმანული პრესა ადასტურებს და ბევრი ცნობილი სპეციალისტიც. ანდა, რას ერჩოდა ბერტი მარიო ბასლერს, „სუპერმარიომ“ ხომ შესარჩევი ციკლის უმეტეს მატჩებში ითამაშა და საკმაოდ კარგ დონეზეც. მართალია, მიუნხენის „ბაიერნში“ ჰქონდა ჩავარდნები, მაგრამ ბუნდესლიგის ბოლო მატჩები აღმავლობით ჩაატარა, ხოლო გერმანიის თასის ფინალში („ბაიერნი“ — „დუისბურგი“) მართლაც რომ შეუდარებელი იყო. როცა „ბაიერნს“ უჭირდა, ფეხბურთელები სწორედ რომ მარიოს შეჰყურებდნენ და არა გადაბერებულ ლომს ლოთარ მათეუსს. ასეთი ნაღდი პიროვნებები კი მწვრთნელს ეტყობა უარყოფით, წმინდა წყლის ადამიანურ ინსტინქტებს უღვიძებენ (აღარაფერს ვამბობთ რ. ბაჯოსა, მაკმანამანის, რომარიოს დათრგუნვაზე)...

დიდი ფეხბურთი კი მაინც მშვენიერია. რამდენიც არ უნდა ვიძახოთ, რომ ბევრია 32 გუნდი მონდიალისთვის, მსოფლიო ჩემპიონატი მაინც ერთ რამედ ღირს. აბა რა უნდა მოხდეს ისლამურ ირანში ისეთი მნიშვნელოვანი, რომ სპარსმა მანდილოსანმა ჩადრ-თავსაფარი მოიხადოს და ქუჩაში მთელი თავის ექსპანსია წარმოგვიჩინოს...

ახალი სახელები კი საფრანგეთი-98-ს ნაღდად აკლდა. კარგი ყმაწვილი ჩანს მაიკლ ოუენი, ეს არის და ეს. რონალდო კი... რონალდოც ყმაწვილია, 21 წლის ბიჭმა სერია „A“-ს უმძიმესი სეზონი გადაიტანა, თითქმის ყოველ მატჩში „ინტერის“ ლიდერობა მძიმე ტვირთად აწვა, იმ „ინტერისა“, რომელიც სკუდეტოსთვის იბრძოდა შინ და გარეთ ყველა შეხვედრა უნდა მოეგო. ამას დავუმატოთ იტალიის თასის გათამაშება, უეფას თასზე გამარჯვება... არა, 21 წლის ბიჭისთვის მეტისმეტი იქნებოდა ყოველივე ამის შემდეგ მონდიალზეც გაბრწყინებულიყო, იმ მონდიალზე, რომლისგანაც გაცილებით ბევრს მოველოდით...

დათო თავართქილაძე

სხვადასხვა მერიდიანზე

ველოსპორტი. „ტურ დე ფრანსი“. ირლანდიაში გამართული ორი ეტაპის შემდეგ სპორტსმენებმა საფრანგეთში გადაინაცვლეს და როსკოფიდან 169 კილომეტრი იარეს ქალაქ ლორიენამდე. გაიმარჯვა გერმანელმა ჰეპნერმა, მეორეა ფრანგი იანი. საერთო ჩათვლაში სამი ეტაპის შემდეგ ლიდერობს დანიელი ჰამბურგერი, მეორეა ამერიკელი ჰინკაპი, მესამე, ირლანდიელი გრეიდი.

გოლფი. ინგლისში მალე დაიწყება ბრიტანეთის ღია პირველობა, რომელშიც მსოფლიოს ყველა უძლიერესი გოლფისტი ითამაშებს თაიგერ ვუდსის, ნიკ ფალდოსა და რობერტ ელსის ჩათვლით.

კრივი. ამ დღეებში ერთმანეთს შეებმებიან კრივის დიდოსტატები, ვეტერანები ჯორჯ ფორმენი და ლარი ჰოლმსი.

კალათბურთი. ქალთა ნბა-ში გაიმართა მორიგი ტური: „ვაშინგტონ მისტიქ“ – „ჰიუსტონ კომეტსი“ 67:81, „ფინიქს მერკური“ – „ლოს ანჯელეს სპარკსი“ 72:69. აღმოსავლეთ კონფერენციაში ლიდერობენ „შარლოტა“ და „ნიუ-ორკი“, დასავლეთში – „ჰიუსტონი“ და „ფინიქსი“.

ქეგლი. ჰონკონგის თასი მოიგო ჩინელმა კუ ჰუი ჩინმა.

ქეთბურთი. აშშ-ს „მეიჯერ ლიგაში“ მორიგი ტური გაიმართა. „ნიუ იორკ იანკიზ“ – „კლივლენდ ინდიანზ“ 1:4, „მინესოტა“ – „ჩიკაგო“ 2:5, „სან დიეგო პადრეზ“ – „როქსიზ“ 5:9, „ცინცინატი“ – „სენტ ლუისი“ 6:5.

ავტოსპორტი. აშშ-ს ქალაქ კლივლენდში გაიმართა ინდიკარის ანუ კარტინგების რბოლა. გაიმარჯვა „ფორმულა – 1“-ის ყოფილმა პილოტმა იტალიელმა ალექს ძანარდიმ. ეს მისი მეხუთე გამარჯვებაა ამ სეზონში. მეორე იყო ამერიკელი მაიკლ ანდრეტი, მესამე – ბრაზილიელი ფრანკიტი. კანადელი გრეგ მური „კოლიუენში“ (ე.ი. შეჯახებაში) ლეჰტოსთან და კასტრონეგესთან ერთად რბოლის დასაწყისშივე გამოეთიშა გათამაშებას, თუმცა საერთო ჩათვლაში ძანარდის შემდეგ მეორეა. მორიგი რბოლა კანადაში, კერძოდ, მოლსონის ტრასაზე კვირას გაიმართება.

მოამზადა ბია ახალაძემ

„ლელოს“ რედაქციას

„ლელოს“ №55-ში გაზეთ „თუთარჩელადან“ გადმობეჭდილ წერილში, რომელიც ეხებოდა სამკურნალო „პირამიდა-დეზონატორის“ ცენტრს, ტელეფონი მითითებული უნდა იყოს 93-04-04

„თუთარჩელას“ რედაქცია

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

მარკ ჰიუზი მილიონად ფასობს

34 წლის უელსელი ფორვარდი მარკ ჰიუზი თამაშისთვის თავის დანებებას ჯერაც არ აპირებს. ის ერთ დროს ისეთ სახელოვან კლუბებში გამოდიოდა, როგორებიც „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ბარსელონა“ და „ბაიერნია“. ბოლო დროს კი ლონდონის „ჩელსიში“ თამაშობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჯანლუკა ვიალის გუნდმა ახალი თავდამსხმელები გადაიბირა (ბ. ლაუდრუპი და კაზირაგი), მარკ ჰიუზმაც ახალი კლუბი გამოძებნა – „საუთჰემპტონი“. ჩელსელებმა კი უელსელის გაყიდვაში 11 მილიონი დოლარი მიითვალეს.

ფრანგებმა ინგლისელებს ფული აპოვნინეს

საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების გამარჯვებამ მონდიალზე აღტაცებაში მოიყვანა არამარტო მისი მრავალრიცხოვანი ქომაგები. ეს ამბავი, ალბათ, ყველაზე ძალიან უილიამ ჰილის ბრიტანული საბუკმეკერო კანტორის ხელმძღვანელობას გაუხარდა. როგორც მათ განაცხადეს, ეს იყო ფირმის ყველაზე დიდი ტრიუმფი დაარსებიდან დღემდე. საფრანგეთის ნაკრების წარმატებამ ფინალურ მატჩში ბუკმეკერულ კანტორას 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი მოუტანა (16 მილიონი დოლარი!), ვინაიდან ტოტალიზატორების მოთამაშეთა უმრავლესობამ ბრაზილიელთა გამარჯვებაზე დადო ფსონები.

ორი რომაელი მადრიდში

რომის „ლაციომ“ მადრიდის „ატლეტიკის“ 9,7 მილიონ დოლარად დაუთმო 29 წლის იუგოსლავიელი ნახევარმცველი ვლადიმირ იუგოვიჩი. სულ ცოტა ხნის წინათ კი მადრიდელებმა „ლაციოს“ კიდევ ერთი ლეგიონერი, არგენტინელი მცველი ხოსე შამოტი გადაიბირეს (თავისუფალი აგენტი).

ტრანსფერები...

არგენტინელი *აბელ ბალბო* „რომადან“ „პარმაში“ გადადის.

მაროკოელი *ჰადა ხიხონის* „სპორტინგის“ ღირსებას დაიცავს მომავალი სეზონიდან.

ანდრეი კანჩელსკისმა 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა გლაზგოს „რეინჯერსთან“.

დიდი „კონტინენტური შევსება“ მიიღო ლონდონის „ჩელსიმ“: „ბარსელონადან“ – *ალბერტ ფერერი,* „მილანიდან“ – *მარსელ დესაი.*

პატრიკ კლიუვერტი ტოვებს „მილანს“. თუ სად ითამაშებს ამიერიდან, ჯერჯერობით უცნობია.

დორტმუნდის „ბორუსიამ“ დიდი ცვლილებები განიცადა შემადგენლობის მხრივ. გუნდში მოვიდნენ ჰოლანდიელი *ნაიპუისი,* ბრაზილიის „უნიაო სან ჟოადან“ – *ევერალდო ბატისტა,* „ბაიერნიდან“ – *კრისტიან ნერლინგერი,* „დუისბურგიდან“ – ტოგოელი ზანგი *ბაშირუ სალუ,* როსტოკის „ჰანზადან“ – ბოსნიელი ფორვარდი *სერგეი ბარბარესი* და „კარლსრუედან“ – *ტომას ჰენგენი.* მცველი *ჰაინრიხი* იტალიის „ფიორენტინაში“ ჩაირიცხა.

მოამზადა ბია ახალაძემ

ფიშერი 50-ე ადგილზე? ხუმრობთ, ბატონებო?

როცა ყოველი ახალი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია თვითდამკვიდრებას ცდილობს, ეს, ცხადია, სრულიად ბუნებრივია. ჯერ ნახევარი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ფიდეს საპირისპიროდ დაარსდა „მსოფლიო საჭადრაკო საბჭო“. ბევრი მას უდღეურს უწოდებს, ფიქრობს, რომ ისეთივე ხვედრი ელის, რაც აქამდე გარი კასპაროვის მიერ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის საწინააღმდეგოდ ჩამოყალიბებულ სხვადასხვა „ასოციაციასა“ თუ გაერთიანებას. მათ დასცინოდნენ, ამბობდნენ, რომ ამ კავშირების წევრების რიცხვი ერთი ხელის თითებზე ჩამოითვლებოდა, ძნელი სათქმელია, რამდენად სწორი იყვნენ კრიტიკოსები, მაგრამ ერთი რამ ცხადია — მოხერხდა ფიდეს მონაწილეობის გარეშე ორი უაღრესად ავტორიტეტული მატჩის ჩატარება: ჯერ კასპაროვმა შორტი დაამარცხა, შემდეგ კი ანანდი, ამასთან, ერთმაც და მეორემაც მანამდე შეჯიბრებებში თანამედროვეობის უძლიერეს დიდოსტატებს სძლიეს. ამასობაში ფიდემაც ჩაატარა ორი მატჩი მსოფლიო პირველობაზე: კარპოვმა ჯერ ტიმანს მოუგო, შემდეგ კი კამსკის, მაგრამ დღეისათვის საჭადრაკო სამყაროში ისეთი ვითარებაა, რომ მსოფლიო ჩემპიონატი, როცა მასში კასპაროვი არ მონაწილეობს, უბრალოდ თითქმის აბსურდული ხდება. რა თქმა უნდა, ასე დიდხანს არ გაგრძელდება. კასპაროვი ხანში შევა, ძალას დაკარგავს და მაშინ ფიდეს მასთან შესახვედრი არაფერი ექნება. თუმცა, არ ვიცით მთავარი — როდის მოხდება ეს! ჯერჯერობით კი ახალმა ორგანიზაციამ „მსოფლიო საჭადრაკო საბჭომ“ გაამართლა თავისი არსებობა. ჩაატარა პრეტენდენტთა მატჩი, რომელშიც გამარჯვებული შიროვი შემოდგომაზე კასპაროვს შეხვდება. ერთი სიტყვით, შეირჩა ლეგიტიმური პრეტენდენტი და თანაც ისეთი, რომელმაც მოკლე დროში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა.

ამასობაში „მსოფლიო საჭადრაკო საბჭომ“ გამოაქვეყნა თანამედროვეობის 500 უძლიერესი მოჭადრაკის „რეიტინგ-ლისტი“. გასაგები ამბების გამო, ყველას სიას ვერ შემოგთავაზებთ, მაგრამ მოვიყვანთ იმ დიდოსტატების გვარებს, რომლებიც ექსტრა-კლასის მოჭადრაკეებს მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, ამისათვის კი 2600 და მეტი პუნქტის (თუ ქულის) მოპოვებაა საჭირო. ამ სიაში მკითხველი თავისათვის ნაცნობი დიდოსტატების გვარებს შეხვდება. გადავხედოთ...

1. გარი კასპაროვი (რუსეთი) — 2808. 2. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — 2775. 3. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) — 2756. 4. ალექსანდრე შიროვი (ესპანეთი) — 2708. 5. ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) — 2705. 6. გატა კამსკი (აშშ) — 2701.

ამ ექსკლუზიურ მოთვრდება იმ დიდოსტატების სია, რომლებსაც განსაკუთრებით მაღალი რეიტინგი აქვთ, 2700-ს გადააჭარბეს. გავაგრძელოთ... 7. პეტრე სვიდლერი (რუსეთი) — 2694. 8. ანატოლი კარპოვი — (რუსეთი) — 2687. 9. მაიკლ ადამსი (ინგლისი) — 2681. 10. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — 2673. 11. ევგენი ბარეევი (რუსეთი) — 2671. 12. ბორის გელფანდი (ბელარუსი) — 2661. 13. ნაიჯელ შორტი (ინგლისი) — 2659. 14. პეტერ ლეკო (უნგრეთი) — 2658. 15. მიხაილ კრასენკოვი (პოლონეთი) — 2653. 16. ალექსანდრ ბელიავსკი (სლოვენია) — 2648. 17. ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი) — 2645. 18. ვალერი სალოვი (რუსეთი) — 2645. 19. მეტიუ სადლერი (ინგლისი) — 2645. 20. �el ლოტიე (საფრანგეთი) — 2639. 21. სერგეი რუბლევსკი (რუსეთი) — 2637. 22. იუდით პოლგარი (უნგრეთი) — 2635. 23. ზურაბ აზმაიფარაშვილი — 2634.

საქართველოს უძლიერეს მოჭადრაკეს უკვე კარგა ხანია ღირსეული ადგილი უკავია მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატთა შორის. ვუსურვოთ მას უახლოეს ხანებში შედეგების კიდევ უფრო გაუმჯობესება.

27. ულფ ანდერსონი (შვეცია) — 2633. 25. კირილ გეორგიევი (ბულგარეთი) — 2633. 26. ალექსეი დრეევი (რუსეთი) — 2633. 27. ზოლტან ალმაში (უნგრეთი) — 2632. 28. სერგეი ტივიაკოვი (რუსეთი) — 2631. 29. იასერ სეირავანი (აშშ) — 2629. 30. ალექსანდრ ონიშჩუკი (უკრაინა) — 2627. 31. ვადიმ ზვიაგინცევი (რუსეთი) — 2626. 32. ვლადიმირ აკოფიანი (სომხეთი) — 2621. 33. უტუტ ადიანტო (ინდონეზია) — 2620. 34. ალექსეი ერმოლინსკი (აშშ) — 2619. 35. იან ტიმანი (ჰოლანდია) — 2617. 36. ლემბიტ ოლი (ესტონეთი) — 2615. 37. ოლეგ კორნეევი (რუსეთი) — 2615. 38. ხულიო გრადა (პერუ) — 2615. 39. კონსტანტინ საკაევი (რუსეთი) — 2614. 40. ევგენი ვლადიმიროვი (ყაზახეთი) — 2611. 41. არტურ იუსუპოვი (გერმანია) — 2609. 42. ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) — 2609. 43. რაფაელ ვაჰანიანი (სომხეთი) — 2606. 44. იონა ქოსაშვილი (ისრაელი) — 2606. 45 პრედრაგ ნიკოლიჩი (ბოსნია და ჰერცოგოვინა) — 2605. 46. ელმარ მაგერამოვი (აზერბაიჯანი) — 2604. 47. პატრიკ ვოლფი (აშშ) — 2602.

ამით ამოიწურება ექსტრა-კლასის მოჭადრაკეების რიცხვი. ისიც ვთქვათ, რომ იგი ადრინდელ „რეიტინგ-ლისტებთან“ შედარებით მკვეთრად გაიზარდა და ეროვნული ჟურნალისტის გამოთქმასაც თუ გამოვიყენებთ, დიდოსტატი ყოველთვის როდი გახლავთ დიდი მოჭადრაკე!

ახლა კი, მოდით, ოდნავ გავაგრძელოთ სია: 48. თითქმის სრულიად უცნობი ვალერი ფილიპოვი (რუსეთი) — 2599. 49. არც ისე ძლიერი იოჰან ჰიარტარსონი (ისლანდია) — 2597 და, **ბოლო საოცრებავ: 50. რობერტ ფიშერი (აშშ) — 2594!**

ძნელი სათქმელია, რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა მსო, როცა ფიშერი ამ სიაში შეიყვანა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მას ხომ 6 წელია არსად უთამაშია, ასეთი მოჭადრაკეების რეიტინგს კი ალარავინ ითვლის. ძნელი გასაგებია ისიც, რა გამოთვლებით გამოუყვანეს ლეგენდარულ მოჭადრაკეს ასეთი მაჩვენებლები, რის შემდეგაც მას ფილიპოვმა (და ბევრმა მისმა მსგავსმა) გაუსწრო. განა ტრაგიკომიკური არ იქნებოდა, რომ ვინმემ მუსიკოსების რეიტინგი შეადგინოს (კიდევ კარგი, რომ ასეთი რამ არა ხდება!) და ბეთოვენს 50-ე ადგილი მიაკუთვნოს?

ერთი სიტყვით, ეტყობა მსო-ს მესვეურები ხუმრობის ხასიათზე დადგნენ და საჭადრაკო საზოგადოებრიობის გამხიარულებას ცდილობენ. მხიარულება, საერთოდ, კარგი რამ არის, მაგრამ, ეტყობა, ცოტა სხვა ობიექტი უნდა აერჩიათ და არა ბობი ფიშერი თავისი უამრავი გულშემატკივრით.

ბივი გამრეკელი

ჩვენებურების მონაწილეობით „შავ კონტინენტზე“ ვეტერანებმა იყოჩალეს

სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება ვეტერანთა შორის საწყლოსნო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატები. წლეულს უკვე მეშვიდე ასეთი ასპარეზობა გაიმართა (მაროკოს ქალაქ კასაბლანკაში) და მასში პირველად გამოვიდნენ ქართველები — მოცურავე ანდრო იორდანიშვილი და წყალბურთელთა გუნდი.

ჩვენი ვეტერანების დებიუტი წარმატებული გამოდგა. სახელდობრ, იორდანიშვილმა თავის ასაკობრივ ჯგუფში 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში II ადგილი, ხოლო 5-კილომეტრიან მარათონში სულაც პირველობა იზეიმა. ასევე კარგად იასპარეზეს ჩვენმა წყალბურთელებმა, რომლებმაც IV ადგილი დაიკავეს.

მარტინა ჰინგისი ინარჩუნებს პირველობას



უიმბლდონის ტურნირზე ერთგვარი წარუმატებლობის მიუხედავად, შვეიცარიელი მ. ჰინგისი ჩოგბურთის ასოციაციის რეიტინგ-ლისტში მაინც ინარჩუნებს პირველობას. ჩოგბურთელ ქალთა ოცეულის მორიგი სია ასე გამოიყურება:

1. მარტინა ჰინგისი, შვეიცარია — 5865 პუნქტი, იანა ნოვოტნა, ჩეხია — 4707, 3. ლინდსეი დევენპორტი, აშშ — 4464, 4. არანტა სანჩესი, ესპანეთი — 3264, 5. მონიკა სელეში, აშშ — 2997, 6. ვენუს უილიამსი, აშშ — 2949, 7. კონჩიტა მარტინესი, ესპანეთი — 2613, 8. ამანდა კეტცერი, სამხ. აფრ. — 2316, 9. ირინა სპირლია, რუმინეთი — 2181, 10. ნატალია ტოზია, საფრანგეთი — 2162, 11. დომინიკ ვან როსტი, ბელგია — 1997, 12. პატრისია შნაიდერი, შვეიცარია — 1944, 13. სანდრინ ტესტიუ, საფრანგეთი — 1833, 14. მერი პირსი, საფრანგეთი — 1800, 15. ანა კურნიკოვა, რუსეთი — 1682, 16. ნატალია ზვერევა, ბელარუსი — 1658, 17. აი სუგიამა, იაპონია — 1569, 18. ანკე ხუბერი, გერმანია — 1566, 19. ლაიზა რაიმონდი, აშშ — 1488, 20. ივა მაიოლი, ხორვატეთი — 1375.

ჰინგისი ლიდერობს ამ სეზონში მიღებული საპრიზო თანხითაც — 1 მილიონ 713 ათასი დოლარი. მილიონზე მეტი მიიღეს — ნოვოტნამ (1.339,470) და სანჩესმა (1.041,439).

ისე ილანძღებოდნენ, მეტი აღარ შეიძლება

ჩოგბურთის ვარსკვლავები კორტზე ხშირად ისე ილანძღებიან, მეტი რომ აღარ შეიძლება. ისინი მზად არიან, თმაშიც კი სწვდნენ ერთმანეთს, და, მსაჯები დიდი გაჭირვებით ახერხებენ თავი დააღწიონ კრიტიკულ სიტუაციას. ამასწინანდელი მატჩი 16 წლის ამერიკელ სირენა უილიამსსა და გამოჩენილ ესპანელ ოსტატ არანტა სანჩეს-ვიკარიოს შორის არნახული ლანძღვა-გინებისა და შეურაცხყოფის „თანხლებით“ მიმდინარეობდა.

როცა გამოჩენილ მწერალს, რეჟისორსა და მსახიობს პიტერ უსტინოვს (ინგლისი) ჰკითხეს, ვინ არის მისი საყვარელი ჩოგბურთელი ქალი, მან ყველასათვის უცნობი კეი სტამერსი დაასახელა:

— იგი ისეთი დელიკატური და მოხდენილია, როგორც ინგლისური ვარდი კეი, გასაგებია, ვერ იგებს, მაგრამ როგორ გრაციოზულად მარცხდება.

ასე დასცინა გამოჩენილმა მწერალმა უხეშ ჩოგბურთელ ქალებს.

სპასკი თამაშობს, მაგრამ...

მალმეში (შვეცია) გამართული მე-13 კატეგორიის საერთაშორისო ტურნირში ორი რამ იპყრობდა ყურადღებას: მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ბორის სპასკისა (საფრანგეთი), რომელიც ბოლო წლებში საკმაოდ იშვიათად თამაშობს და ცნობილი დიდოსტატი ქალის, პია კრამლინგის (შვეცია) მონაწილეობა.

მოხდა ისე, რომ მათ 10 მონაწილეს შორის ოთხ-ოთხი ქულა მოაგროვეს და მე-7-8 ადგილები გაიყვეს. თუ კრამლინგისათვის ეს შედეგი საკმაოდ კარგიც კი არის, ამას, ცხადია, სპასკიზე ვერავინ იტყვის.

პირველი-მეორე ადგილები 6-6 ქულით გაიყვეს ახალგაზრდა დიდოსტატებმა: ფრანგმა ჟოელ ლოტიემ და იუგოსლავიელმა იგორ მილადინოვიჩმა.



17 ივლისი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. „ასპარეზი“ (21.20). *იბერია.* „ბურთი და მოედანი“ (13.40; 21.15). *კავკასია.* „ვარსკვლავები“ (17.45). რუსეთის ტელევიზია. *PTP.* ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ფინალი (1.00).

18 ივლისი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. II არხი. „ავტოსპორტი“ (20.25). *იბერია.* „ბურთი და მოედანი“ (12.40; 21.15). *კავკასია.* „ვარსკვლავები“ (17.50). *რუსეთის ტელევიზია. PTP.* ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ფინალი (23.20).

19 ივლისი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. სპორტული პროგრამა (20.30). იბერია. „ბურთი და მოედანი“ (12.40; 21.15). *კავკასია.* „ვარსკვლავები“ (17.30). *რუსეთის ტელევიზია. OPT-1.* საფეხბურთო მიმოხილვა (16.05). *PTP.* ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ფინალი (22.55).

კარპოვი – ჩინეთის ქალთა ნაკრები

პეკინში გაიმართა ერთდროული თამაშის სეანსი. მსოფლიო ჩემპიონი, ფიდეს ვერსიით, ანატოლი კარპოვი შეხვდა ჩინეთის ქალთა ნაკრებს, რომელიც ელისტის საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადისათვის ემზადება. მსოფლიოს ექს-ჩემპიონ სიუ ჟუნის გარდა, სეანსში მონაწილეობდა 4 დიდოსტატი: კარპოვმა მოიგო 3 პარტია, ერთი კი ყაიმით დაასრულა.

ინფორმაცია

მცირე თამაშებიდან – „ოლიმპიადა-2012“-მდე

მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა გამოაცხადა, რომ ნებისმიერი ვითარების მიუხედავად, რუსეთის დედაქალაქს ექნება პრეტენზია საზაფხულო ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად. რაც, ალბათ, 2012 წლამდე ადრე არ მოხდება, მერმა პრეს-კონფერენციაზე, რომელიც ჩაატარა ვირტუალურ სივრცეში, აგრეთვე, ინტერვიუ მისცა მსოფლიო კომპიუტერულ ქსელ „ინტერნეტს“.

კითხვების უმრავლესობა შეეხო პირველ მსოფლიო ახალგაზრდულ თამაშებს, რაზეც ქალაქის მერმა ამომწურავად უპასუხა:

— მომავალი თაობის ჯანსაღი მორალი განაპირობებს კაცობრიობის ხვალინდელ დღეს და ოლიმპიური იდეალების გათავისება ბევრად შეუწყობს ხელს მთელი პლანეტის ნათელ მომავალს.

ქროსვორდის მაგიერ

გთავაზობთ ფეხბურთში XVI მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე ქვეყნების ნაკრებთა მეკარეების ფოტოსურათებს. ამოიცანით, რომელი ქვეყნის ღირსებას იცავდნენ ისინი?

FRANCE 98



წინა ნომერში გამოქვეყნებული „ქროსვორდის მაგიერის“ პასუხები: 1. პატრიკ ვიერა, 2. ლორან ბლანი, 3. კრისტოფ დიუგარი, 4. კრისტიან კარამბუ.

საჭადრაკო ამოცანა

3. სვისლოვი (რუსეთი)



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ედ5! — 2. ედ4+ მფe5 3. ლe6X.
1. ...მფ:d5! 2. ლe6 მფc5 3. ლc6X.
1. ...მF3 2. ლF5+ მფe3 3. ლd3X.
1. ...F5 2. ედ4+ მფe5 3. ლh8X.
1. ...F4 2. ედ4+ მფ - 3. ლe6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წიწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე